# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 17 აპრილი 2003 №68 (1839) | ფასი 50 თეთრი




# შუშაკის განწყობის თეორია

## ხორვატის ახლები ნოდია და ასათიანია

გუშინ ივო შუშაკმა ნაკრებში თავის თანაშემწეებად გივი ნოდია და ოთარ გაბელია დაასახელა, ფედერაციამ კი დაამტკიცა.

თუმცა ჩვენ თანაშემწეებზე მეტად, ცხადია, ნაკრების სარუსეთო განაცხადი გვაინტერესებს, საამისოდ კი მოცდა მოგვიწევს — ხორვატი მომავალ ორშაბათს დაასახელებს 18-კაციან შემადგენლობას.

ოღონდ შუშაკისგან რაიმე განსაკუთრებულ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. ნაკრებში ძველი სახეები იქნებიან, ერთი, მალხაზ ასათიანი დაემატება და ტაქტიკაც ალბათ ძველებური იქნება: თამაშამდე ორიოდე ვარჯიშზე ფეხბურთელებს აბა, რა უნდა ავუხსნა ახალიო, თქვა მწვრთნელმა.

მაგრამ შუშაკის გუნდი რაღაცით ხომ უნდა განსხვავდებოდეს ჩივაძისეულისგან, სხვაგვარად რა აზრი ჰქონდა მწვრთნელის შეცვლას? მე ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურ განწყობაზე გავამახვილებ ყურადღებასო, დასძინა შუშაკმა და განწყობის ასამაღლებლად პირველი განცხადებაც გააკეთა: ქართული ფეხბურთის დონე რუსეთთან მატჩისას პესიმიზმის საფუძველს არ იძლევაო.

ხოლო ამ განწყობის ამაღლებას თუ ნაადგება, ქართველ ფეხბურთელთა გასახელებლად ვიტყვით: რუსი საფეხბურთო ჩინოვნიკები მამა აბრამის ბატკნებივით თავს იკატუნებენ და ერთხმად გაიძახიან, რა ცუდია, თამაში ცარიელ სტადიონზე რომ ტარდებაო.

გჯერათ?

# ფაქტი და ინფარქტი

## ლოკომოტივი ჩემპიონატში აღარ ითამაშებს

## ცაკარიასის გულმა უგოლობას ვერ გაუძლო



სწორედ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა იტყვიან, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო. „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა აკაკი ჩხაიძემ ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ წერილი აფრინა, მსაჯობა აუტანელია, მეტი გაძლება არ გვაქვს და ჩემპიონატში თამაში უნდა შევწყვიტოთო.

ჩვენში მსაჯობა მართლაც რომ არ ვარგა, გუნდები წასვლით რომ იმუქრებიან, ზოგი კი კოტრდება — სატირალია. სასაცილო კი ის გახლავთ, რომ „ლოკომოტივი" თასზე თამაშის გაგრძელებას აპირებს, თითქოს სათასო თამაშებს იგივე ფედერაცია არ მართავდეს. სასაცილოა ისიც, რომ ჩემპიონატის მიტოვების გადაწყვეტილება აკაკი ჩხაიძის კი არა, 20 ათასი რკინიგზელის ერთობლივი განსჯის პროდუქტი ყოფილა, ოღონდ ვინ და როდის ჰკითხა ამ 20 ათას კაცს აზრი, არავინ არაფერს ამბობს.

ერთიც სერიოზული ამბავი: „ლოკომოტივის" პრესსამსახურის ცნობით, გუნდის პირველ მწვრთნელ ლუის ცაკარიასს ინფარქტი დაემართა და საავადმყოფოში წევს.

# X ვინ არის ჩემპიონი?

## არსენალმა და მანჩესტერმა ამოცანა ვერ ამოხსნეს




REUTERS

არსენალი — მანჩესტერი 2:2. რუუდ ვან ნისტელროის გოლით „მანჩესტერმა" ოდენ პირველი ტაიმი მოიგო

# სადაც წაგწვდი

## რუსებთან ჭაბუკებიც უფროსობენ

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რუსეთს დიდიან-პატარიანად და ყველგან უგებს.

გუშინ პარიზში და მის შემოგარენში მიმდინარე ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა 16:8 დაამარცხა რუსეთი და ბრძოლას მეცხრე ადგილისთვის განაგრძობს.

გავიხსენოთ, რომ უმცროსმა ბორჯღალოსნებმა შარშანწინაც სძლიეს რუსებს და შარშანაც. ასე რომ, წლეულს ზედიზედ მესამედ დაარბიეს ჩრდილოელები.

ახლა ჩვენი ჭაბუკები მეცხრე ადგილისთვის იტალია-იაპონიას შორის უკეთესს შეხვდებიან.

შარშან გამართულ ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე ჩვენმა ნაკრებმა მეათე ადგილი დაიკავა, წლეულს კი მწვრთნელები უკეთეს შედეგს, ანუ მეცხრე ადგილს გეგმავენ.

# ბიძინა ივანიშვილი საფეხბურთო სარბიელზე?

## საჩხერის შვილს საჩხერეში ელიან

*უფულოდ ყველანაირი კარგი წამოწყება ფუჭია, მით უმეტეს ფეხბურთში, სადაც ფულს, ცხადია, ფულიანი ხალხი დებს და ამონაგებს სულმოუთქმელად არ ელის — ასეა საბჭოეთის ყოფილ რესპუბლიკებში და არც საქართველოა გამონაკლისი...*

*ბიძინა ივანიშვილი ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული ქართველი ბიზნესმენია, რომელმაც ქველმოქმედებითაც დაიგდო სახელი. ის წარმოშობით საჩხერიდანაა და ამ პატარა ქალაქის გუნდი რეგიონული ლიგის დასავლეთ ზონის ლიდერია...*

*ჰოდა, ხმებიც დაირხა — ბიძინა ივანიშვილი საფეხბურთო სარბიელზე გამოსვლას აპირებს და მშობლიური საჩხერის გუნდს გვერდში დაუდგებაო — ასეთი რანგის ბიზნესმენის თანადგომა უმაღლესი ლიგის გუნდისთვისაც კი დიდი საქმე იქნებოდა.*

*იმასაც ამბობენ, ივანიშვილს ბადრი პატარკაციშვილთან და ბორის ბერეზოვსკისთან ჰქონდა კონფლიქტი და ფეხბურთში თავისი სიტყვის თქმა ამიტომაც ამოუჭრია გულში.*

*თუმცა აქ ერთიცაა — ივანიშვილი ისეთი ტიპის ბიზნესმენია, რომ საკუთარი თავის აფიშირება არ უყვარს, მაგრამ ვინძლო ქართულ ფეხბურთში კარგადაც წარმოჩნდეს.*

*ჩვენ კი ვითარებაში გასარკვევად „ჩიხურას“ ვიცე-პრეზიდენტს და საჩხერის გამგებელ* **კახა გელბახიანს** *მივმართეთ.*

— „ჩიხურას“ საჩხერის გამგეობა აფინანსებს — გუნდის წლიური ბიუჯეტი 52 ათასი ლარია. ვაპირებთ 10-15 ათასი ლარის მოზიდვას იმ საქმიანი ადამიანებიდან, რომლებიც საჩხერიდან არიან გასულები და სხვაგან საქმიანობენ.

**— ბიძინა ივანიშვილისგან შესაძლო დახმარებაზე რას გვეტყვით? რამდენად რეალურია ხმები მისი „ჩიხურათი“ დაინტერესების შესახებ?**

— ამ თემაზე კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით — ივანიშვილს ჯერ არ შევხვედრივართ და არ გვისაუბრია მასთან.

**— და ასეთი შეხვედრა მოსალოდნელი არ არის?**

— ჯერ საქმეს ჩვენებურად ვუძღვებით და მერე მგონი, მოგვხედავენ. როცა გუნდის შენებას ვიწყებდით, ჩვენი მთავარი პრინციპი ასეთი გახლდათ — ახალგაზრდობა სპორტში ჩაბმულიყო. მაგრამ მერე, მადა ჭამაში მოდისო და, საქმეც წინ წავიდა — მწვრთნელად სპარტაკ არჩვაძე მოვიწვიეთ, პირველ ადგილზე ვართ და ალბათ გადავალთ კიდეც პირველ ლიგაში.

**— მადა მართლაც ჭამაში მოდის და ალბათ უკვე უმაღლეს ლიგაში თამაშზეც ფიქრობთ, რასაც თქვენი ბიუჯეტი ნაღდად ველარ გასწვდება...**

— რა თქმა უნდა, უმაღლესი ლიგისთვის ასეთი ბიუჯეტი საკმარისი არ იქნება და ჩვენ ყველანაირად ვეცდებით საჩხერიდან წასული ბიზნესმენების დაინტერესებას. თუ ბიძინა ივანიშვილს შევხვდებით, უპირველესად საჩხერეში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე დაველაპარაკებით.

**— ივანიშვილს ჩვენში ისეთი იმიჯი აქვს, რომ მას საკუთარი თავის გახმაურება არ უყვარს და მასთან საქმიანი შეხვედრა იქნებ თქვენთვისაც არ იყოს იოლი...**

— ჩვენ გვინდა, რომ ყველას და მათ შორის ივანიშვილსაც შედეგი დავანახოთ და მერე ალბათ თვითონაც დაინტერესდება. უმაღლეს ლიგაზე მართლა ვფიქრობთ და ვოცნებობთ, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე, ამის ფინანსური საშუალება არ გვაქვს. მაგრამ თუ დახმარება იქნება, მიღებული თანხა პატიოსნად დაიხარჯება ფეხბურთში.

**— რამდენად პოპულარულია ფეხბურთი საჩხერეში?**

— „ჩიხურას“ თამაშებზე საშუალოდ 3-4 ათასი მაყურებელი მოდის, რაც საქართველოს მასშტაბით იქნებ საუკეთესო მაჩვენებელიც კი იყოს.

**დავით თამართძილაძე**

### გერმანია

**სამხრეთ რეგიონალლიგა XXX ტური**

ნოინკირხენი 0:3 ჰოფენჰაიმი
შვაინფურტი 1:0 კიკერსი
ზაარბრიუკენი 1:0 დარმშტადტი
აუგსბურგი 2:1 აინტრახტი (მ)
პფულენდორფი 0:1 ელვერსბერგი
აალენი 1:3 რეგენსბურგი
ოფენბახი 1:1 კაიზერსლაუტერნი (მ)
ერფურტი 1:3 უნტერჰახინგი

### ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა XXIX ტური**

ზალცბურგი 4:1 ბრეგენცი
აუსტრია 2:0 რიდი
კერნტენი 3:1 შტურმი
გრაცერი 1:1 ადმირა
პაშინგი 3:0 რაპიდი

### თურქეთი

**სუპერლიგა გადადებული მატჩები**

დიარბაქირი 1:0 ბეშიქთაში
დენიზლი 1:1 ფენერბაჰჩე

### ინგლისი

**პრემიერლიგა XXXV ტური**

არსენალი 2:2 მანჩესტერი

**პირველი დივიზიონი გადადებული მატჩი**

დერბი ქაუნთი 1:2 მილუოლი

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი**

პიტერბრო 2:0 კარდიფი

### შვეიცარია

**A ჯგუფი. VII ტური**

ციურიხი 2:1 ვილი

**თასის 1/2 ფინალი**

ძსამაძსი 2:2 გრასჰოპერი

### დანია

**სუპერლიგა. XXIII ტური**

ოლბორგი 2:0 ორჰუსი

### პოლონეთი

**თასის 1/2 ფინალი პირველი მატჩები**

ვიძევი 1:2 ვისლა
რადომსკო 0:1 პლოცკი

### იტალია

**თასის 1/2 ფინალი საპასუხო მატჩი**

*რომა* 1:0 ლაციო (2:1)

### საფრანგეთი

**ლიგის თასი 1/2 ფინალი**

მარსელი 0:1 მონაკო

### ჰოლანდია

**ამსტელის თასი 1/2 ფინალი**

ფეიენოორდი 1:0 აიაქსი

### ჩეხეთი

**თასის 1/4 ფინალი**

ბანიკი 0:2 ზლინი
ტეპლიცე 3:0 სლავია

### ბელგია

**თასის 1/2 ფინალი საპასუხო მატჩი**

*ლუვიე* 2:0 ლოკერენი (2:3)

### უკრაინა

**თასის 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები**

*დინამო* 3:1 ვოლინი (4:0)
*შახტარი* 3:1 დნიპრო (0:0)

### უნგრეთი

**თასის 1/2 ფინალი**

ელორე 1:2 ფერენცვაროში



REUTERS ფოტო

რომა — ლაციო 1:0. მატჩის ერთადერთი გოლი ვინჩენცო მონტელამ (№9) ასე გაიტანა



# ბრაიან კერი: უმაყურებლოდ თბილისში თამაში რუსთათვის შეღავათია

**ჯერ კიდევ** თბილისში თამაშამდე ირლანდიელები ამბობდნენ, ნეტავ, ქართველები და ალბანელები დაგვამარცხებინა, იმათ კი რუსეთს მოუგონო. ამ შემთხვევაში, პორტუგალიისკენ მიმავალი გზა გაგვეწმინდებაო.

მერე რაც მოხდა, გახსოვთ, ირლანდიელებს ამ ოთხი ნატვრიდან ორი აუხდათ: ქართველებს მოუგეს, ალბანეთმა კი რუსეთი დაამარცხა. ერთი სურვილი სანახევროდ აუხდათ — ალბანეთს ფრედ ეთამაშნენ, აი, მეოთხე... ერთი სიტყვით, ირლანდიელებს იმის იმედი, რომ 30 აპრილს საქართველო რუსეთს მოუგებს, დიდად არ აქვთ. უფრო სწორად, აღარ აქვთ, რაკი საქართველოს ნაკრების გამარჯვების ერთ-ერთ ფაქტორად ქართველ ქომაგს თვლიდნენ...

„უეფას გადაწყვეტილებით საოცრად იმედგაცრუებული ვარ — თქვა ირლანდიის ნაკრების მენეჯერმა ბრაიან კერმა — ქართველი ქომაგების ზღვარგადასულმა საქციელმა ჩვენს ფეხბურთელებზე დამთრგუნველად იმოქმედა, რუსებს კი არაფერი ემუქრებათ და ისინი ჯერ კიდევ თამაშამდე უზარმაზარ უპირატესობას იღებენ, მაყურებლის შიში არ აქვთ. ეს უსამართლობაა. ფაქტობრივად, უეფას ამ გადაწყვეტილებით ჩვენ და შვეიცარიელები დავისაჯეთ, რუსებს კი თბილისში თამაში გაუადვილდებათ.“

**გიორგი დარჯანია**



კახა ჩხეტიანი (მარჯვნივ) პირველ უნგრულ ტიტულს წაეპოტინება

# ჩხეტიანის შესვლა და გასვლა

## კიდევ ერთი ქართველი ევროპულ ფინალში

### უნგრეთი

**თასის 1/2 ფინალი**

**დებრეცენი 6:1 მტკ**

**0:1 ცვიტკოვიჩი (26), 1:1 პიმი (37), 2:1 დომბი (48), 3:1 კისი (67), 4:1 ჩხეტიანი (82), 5:1, 6:1 ბაიზატი (89, 90)**

**დებრეცენი: ტომიჩი, ზ. კისი, ფლავიო, ეგერი, სელიმეში (კ. ჩხეტიანი 28), დომბი, პაპი, ტ. შანდორი, ჰანაკი, სუმუდიცა (ბერნატი 46), ილიე (ბაიზატი 72)**

**შესაძლოა,** ამ სეზონში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი დაეუფლოს ევროპულ ტიტულს — უნგრული „დებრეცენის“ ნახევარმცველი კახა ჩხეტიანი მაღიართა თასის ფინალში ითამაშებს.

გუშინ „დებრეცენმა“ ნახევარფინალში ქვეყნის ჩემპიონობისთვის მებრძოლი მტკ 6:1 დაიბრიყვა, ერთი გოლი კი სწორედ ჩვენებურმა გაუტანა მეტოქეს.

არადა, შეხვედრა ისე დაიწყო, „დებრეცენის“ გამარჯვება ძნელად სავარაუდო იყო. მტკ-მ თავიდანვე მწვავედ შეუტია მასპინძელთა კარს და 26-ე წუთზე ანგარიშიც გაიხსნა — პეტერ ცვიტკოვიჩმა „დებრეცენის“ მეკარეს შანსი არ დაუტოვა. ამ გოლიდან ორიოდ წუთში მოედანზე კახა ჩხეტიანი გამოჩნდა. მან სელიმეში შეცვალა და მტკ-ს დაბომბვაც დაიწყო.

ქართველი ნახევარმცველი, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა უჭირს, აქტიურად ჩაერთო თამაშში და ტაიმის დასრულებამდე „დებრეცენმა“ ანგარიშის გათანაბრება შეძლო.

მეორე ნახევარში კი მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა. დებრეცენელებმა უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს მეტოქის კართან და ერთ-ერთი მათგანი დომბის წამოწყებული კომბინაციის შემდეგ 82-ე წუთზე ჩხეტიანმა შედეგიანი დარტყმით დააგვირგვინა. ამ გოლით მასპინძლები 4:1 დაწინაურდნენ. მატჩის ბოლო წუთებზე სტუმრები კიდევ ორჯერ დამწუხრდნენ — პაიდუს კარი ორჯერვე ასევე შეცვლაზე შესულმა ბაიზატმა დალაშქრა და „დებრეცენმაც“ მოულოდნელად 6:1 იმარჯვა.

კახა ჩხეტიანის გუნდი ფინალში უნგრეთის ჩემპიონატის ლიდერ „ფერენცვაროშს“ შეებრძოლება, რომელმაც ნახევარფინალში, გუშინ ქვედალიგელ „ელორეს“ სტუმრად 2:1 სძლია.

**კახა ზალამბერიძე**

# შუშაკის ახლები ნოდია და ასათიანია

## ჟორდანია მასპინძლობას უეფასგან ისწავლის

*გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგი სხდომა გაიმართა. განსახილველ-დასამტკიცებელი ფედერაციის უმაღლეს ორგანოს ბევრი არაფერი ჰქონდა. შეკრებილთ 30 აპრილის რუსეთთან მატჩისთვის მზადების თაობაზე ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძისთვის უნდა მოესმინათ, აერჩიათ აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეები და ემსჯელათ რეგიონული ფედერაციებისთვის ფინანსური დახმარების გაზრდის საკითზე. სხდომა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა და, როგორც გვითხრეს, უმეტესი დრო უეფას სადისციპლინო კომიტეტის გუშინწინდელ სანქციაზე საუბარმა წაიღო. გადაიდო თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნები, რეგიონულ ფედერაციებს კი აღმასკომმა ხელი გაუმართა და თითოეულის დაფინანსება 2 ათასი ლარით გაზარდა*



სხდომის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა ***მერაბ ჟორდანიამ*** ტრადიციული პრესკონფერენცია გამართა.

...ვიმედოვნებდით, რომ უეფა ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა, რაც ქომაგს არ შეეხებოდა, სამწუხაროდ, ჩვენი პროგნოზი არ გამართლდა... არც ფულადი ჯარიმა, არც მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გადატანა, უეფამ გადაწყვიტა მატჩის უქომაგოდ ჩატარება და ამას უნდა დავემორჩილოთ. ჩვენ უმაყურებლო მატჩის ჩატარების პრაქტიკა არ გვაქვს და ამდენად, ზუსტად ვერ გეტყვით, ტრიბუნაზე რა რანგის და რაოდენობის ადამიანების ყოფნაა ნებადართული. ვიცი, რომ ჟურნალისტთა ჩაუთვლელად სტადიონზე უნდა იყოს 75 კაცი, მათ შორის ორივე გუნდის წევრები და ოფიციალური პირები. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ქართველ ჟურნალისტებს მატჩზე დასწრების პრობლემა არ შეექმნათ.

...არაკორექტულად, არაკოლეგიალურად მიმაჩნია ლაპარაკი, რომ უეფას ამ გადაწყვეტილებაში რუსეთის ხელი ურევია. მეტსაც გეტყვით, უეფას სადისციპლინო კომიტეტში ობიექტური ხალხი მუშაობს და დარწმუნებული ვარ, მათზე გავლენას ვერავინ მოახდენდა.

...მორალური ზიანის გარდა ფეხბურთის ფედერაცია ფინანსურადაც სერიოზულად დაზარალდა. მოგეხსენებათ, ფედერაციამ ირლანდიასთან, შვეიცარიასთან და რუსეთთან მატჩების ჩატარების უფლება „ლოკომოტივს“ დაუთმო და ჩვენ, გარკვეულ შემოსავალს ველოდით. ახლა კი „ლოკომოტივთან“ ჩვენ დათმობაზე წასვლა მოგვიწევს.

...საქართველო — ირლანდიის მატჩისას მომხდარ ინციდენტზე კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი. ვერც სამართალდამცავებს დავადანაშაულებ. ფაქტია, უეფამ სფფ-ს მატჩის ორგანიზაცია დადებითად შეუფასა. ვინ გადაიხდის იმ თანხას, რაც ვიზარალეთ? როგორც ვიცი, საგამომძიებლო კომისია ამ საკითხზე უკვე მუშაობს, თუმც კი ეს საქმე ძალიან გრძელი და უპერსპექტივო მგონია.

...დღეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ივო შუშაკმა თავისი თანაშემწეების ვინაობა დაასახელა და ჩვენც რა თქმა უნდა, მას უყოყმანოდ დავთანხმდით. ნაკრები შუშაკს ჩავაბარეთ და მანვე თანაშემწეებად გივი ნოდია და ოთარ გაბელია დაასახელა.

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია რომ დაგვშორდა და ორიოდ წუთში მისი ადგილი საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **ივო შუშაკმა** დაიკავა. რა თქმა უნდა, კითხვები ეროვნული გუნდის ახალი თავკაცის მისამართით ბევრი იყო, თუმც თითქმის ყველა საჭირბოროტო კითხვას პასუხი თავისსავე მონოლოგში გასცა*



— ეროვნული ნაკრები ყველასთვის განსაკუთრებულია. მესმის ინტერესი და გმადლობთ მობრძანებისთვის. მზად ვარ, ყველა კითხვაზე საპასუხოდ, მაგრამ ჯერ თავად დავიწყებ.

ეროვნულ გუნდში ჩემი თანაშემწეები გივი ნოდია და ოთარ გაბელია იქნებიან. დარწმუნებული ვარ მათ პროფესიონალიზმში. მურთაზ ხურცილავას თანაშემწეობა კი შევთავაზე, მაგრამ თავის პრობლემების გამო მან ჩემი წინადადება არ მიიღო. შვეიცარიასა და რუსეთის მატჩებს შორის ფიქრისთვის საკმაოდ მცირე დროა და ამდენად ნაკრებში რადიკალურ ცვლილებებს ვერიდები. საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ალექსანდრე ჩივაძესთან შეხვედრის სურვილი ეროვნული გუნდის სათავეში ჩემი დანიშვნისთანავე გამოვთქვი და დღეს გეტყვით, რომ ეს შეხვედრა უკვე შედგა. ძალიან კმაყოფილი ვარ, რაც მჭირდებოდა, მისგან ყველა ინფორმაცია მივიღე. ეროვნულ ჩემპიონატში თუ უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების შესაძლებლობებში გავერკვიე. კარგად ვიცი, დღესდღეობით ისინი რას წარმოადგენენ. სახელობითი მოწვევა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან ჯერ არავისთან გაგზავნილა, თუმც ქართველი ფეხბურთელების მფლობელი კლუბები უკვე საქმის კურსში ჩავაყენეთ — შესაძლოა, ჩვენებურები 30 აპრილის შესარჩევი მატჩისთვის ეროვნულ გუნდში გამოვიძახოთ. მხოლოდ კვიპროსის „ანართოსისი“ გამოვტოვეთ, რადგან თემურ ქეცბაიას თავად არ სურს საქართველოს ნაკრებში თამაში. სამაგიეროდ, თადარიგი დავიჭირეთ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ და ვაუწყეთ, რომ იქნებ მალხაზ ასათიანი ეროვნული გუნდისთვის გამოგვადგეს. რაც შეეხება გოჩა ჯამარაულის გამოძახებას, გეტყვით, მხოლოდ პრესიდან ვიცი, რომ ის ნაკრებში თამაშზე უარს ამბობს. რუსეთთან მატჩისთვის გამოძახებულთა ვინაობას კი 21 აპრილს, 4 საათზე დავასახელებ, დავასახელებ 18 ფეხბურთელს, ვინც სამატჩო განაცხადში იქნება, აგრეთვე მათ, რომელთა იმედიც გაუთვალისწინებელი შემთხვევისას უნდა გვქონდეს. აქვე ჩამოვთვლი იმ ლეგიონერებს, რომელთა კლუბებსაც უკვე ვაცნობეთ, რომ ისინი ნაკრებში დაუბრკოლებლად გამოუშვან: *ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან ცქიტიშვილი, კახა კალაძე, გიორგი ნემსაძე, გივი დიდავა, მიხეილ აშვეთია, შოთა არველაძე გიორგი ქინქლაძე, გოჩა ჯამარაული, ალექსანდრე იაშვილი, მალხაზ ასათიანი, გიორგი დემეტრაძე* — ამ ფეხბურთელთა კლუბებმა უკვე იციან, რომ ისინი შესაძლოა, ნაკრებისთვის საჭირონი იყვნენ. თუმც ეს არ ნიშნავს, იმას, რომ ჩამოთვლილმა ფეხბურთელებმა თავი უკვე ნაკრების წევრებად ჩათვალონ. უეფას თავისებური ლიმიტი აქვს, ნაკრების ლეგიონერის კლუბს გამოძახების თაობაზე მატჩამდე ორი კვირით ადრე უნდა შეატყობინო. ჩვენც ჩვენებურად თავს ვიზღვევთ და უცხოურ კლუბებს სასურველ ფეხბურთელთა გამოძახების თაობაზე ახლავე ვაცნობეთ.

...ბოლო ხანს რუსეთის ნაკრების ორი მატჩი მაქვს ნანახი, ორივე ტელევიზიით. ირლანდიასთან ჩვენმა უახლოესმა მეტოქემ თითქმის უნაკლოდ ითამაშა, ალბანეთთან კი ძალიან სუსტად. რა თქმა უნდა, პატივს ვცემ რუსეთის ნაკრებს, მაგრამ ქართველ ფეხბურთელთა ნიჭი და შესაძლებლობები უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებს. მსურს, ხმამაღლა ვთქვა — ქართველ ფეხბურთელთა დონე საკმაოდ მაღალია და პესიმიზმის საფუძველს არ იძლევა.

...საქართველოში მოთამაშეთაგან ნაკრების კანდიდატები მეტწილად „დინამოდან“ არიან, პლუს ერთი მეკარე ლომაია „ლოკომოტივიდან“. ასევე აღვნიშნავ „ვიტ ჯორჯიის“ ფორვარდ ლევან მელქაძესა და ლოკომოტიველ დავით სირაძეს. არაა გამორიცხული, უახლოეს მომავალში ისინი ეროვნულ გუნდში ვიხილოთ.

...ადრეც ვთქვი და ვიმეორებ, ნაკრები ექსპერიმენტების გამოსაცდელი პოლიგონი არ არის. ახლა მე არ მაქვს დრო, რომ ეროვნულ გუნდს ვარჯიშისას ჩემი მოთხოვნები გადავცე, ერთი-ორი ვარჯიშით შეკრებილთ ისე ვერ მოვამზადებ, როგორც საჭიროა. მე ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურ განწყობაზე გავამახვილებ ყურადღებას. ჩემი მიზანი ერთია, 18 ფეხბურთელს მატჩი მოვაგებინო. არ ვფიქრობ, რომ ფეხბურთელები თამაშს თამაშამდე აგებენ. ფსიქოლოგი საჭირო არ არის.

პრესკონფერენცია დასრულებული იყო, როცა ფედერაციის პრესატაშე მამუკა კვარაცხელიას ხორვატიიდან მოსული ფაქსი მიაწოდეს — ივო შუშაკს ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლატკო მარკოვიჩი და გენერალური მდივანი ზორისლავ სრებიჩი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშვნასა და წარმატებას ულოცავდნენ.

**კობა ინასარიძე**



მალხაზ ასათიანი ეროვნულ გუნდში ივო შუშაკი დაუძახებს

# ლოკომოტივი ჩემპიონატის დატოვებით იმუქრება

## ცაკარიასის გულმა დინამოსთან უგოლობას ვერ გაუძლო

**ახალი სკანდალი** — საქართველოს ჩემპიონატი შესაძლოა ჩემპიონობის ერთ-ერთმა ფავორიტმა, თბილისის „ლოკომოტივმა“ მიატოვოს.

გუშინ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის კანცელარიაში რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარისა და საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ პრეზიდენტის აკაკი ჩხაიძის ხელმოწერით განცხადება მიიღეს — ჩემპიონატის მატჩების მსაჯობა აუტანელია, მეტი გაძლება არ გვაქვს და იძულებულნი ვართ ჩემპიონატში მონაწილეობა შევწყვიტოთ — ასეთია შინაარსი იმ წერილისა, რომელიც ჩხაიძემ ფედერაციის სახელზე გაგზავნა.

ვერ ვიტყვით, რომ რკინიგზელთა ამგვარ რადიკალურ განცხადებას ფედერაციაში შეშფოთება და ვნებათაღელვა მოჰყვა, თუმც ხელმძღვანელობას უფეასგან მიღებული სანაკრებო სანქციის გათვალისწინებით სანერვიულო კი გაუორმაგდა.

— დავით ყიფიანის თასის გათამაშების მეოთხედფინალის პირველი მატჩის „მილანთან“ გამართვა „ლოკომოტივის“ სტადიონის უვარგის სათადარიგო მოედანზე სულაც არ გვსურდა, მაგრამ ეროვნული გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, დავთანხმდით ჩივაძის თხოვნას. მერე „სიონთან“ ჩემპიონატის შეხვედრის გადადებას ვითხოვდით, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ „ლოკომოტივზე“ ვვეთამაშა, ისევ და ისევ ნაკრების გამო სტუმრად, ბოლნისში ვითამაშეთ. ახლა კი არჩათვლილი გოლი თბილისის „დინამოსთან“ — საკმარისია, ეს არა მარტო რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებაა, არამედ დეპარტამენტის 20-ათასიანი კოლექტივის, რომელიც ამ გუნდს ინახავს — თქვა „ლოკომოტივის“ პრესატაშე ნუგზარ ჯულელმა — საქართველოს ჩემპიონატს დავტოვებთ, მაგრამ, შესაძლოა, თასისთვის ბრძოლა გავაგრძელოთ.

— არ აჩქარდეთ, კარგად დაფიქრდით — ეს ის სიტყვებია, რომლებიც ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასგან ჯულელისადმი იყო ნათქვამი.

„ლოკომოტივი“ ჩემპიონატს სტოვებს? კითხვა, რომელზეც ფედერაციის მოხელეთ პასუხი არ ჰქონდათ.

და აქვე, ნუგზარ ჯულელის ცნობით, „ლოკომოტივის“ მწვრთნელს ლუის ცაკარიას „დინამოსთან“ მატჩის შემდეგ ინფარქტი დაემართა და საავადმყოფოში იმყოფება.

**კობა ინასარიძე**



ლუის ცაკარიასი



წლეულს რუსულ პრემიერლიგაში ვალერი აბრამიძის (№44) პირველ გამოჩენას დიდი ხმაური მოჰყვა

# რუსეთს ხალხი გაუჯავრდა, სახალხოს — პენალტი

## ვალერი აბრამიძემ სპარტაკი კავშირს გადაჰკიდა

*რუსულ ფეხბურთში სკანდალის სუნი ტრიალებს. დღითი-დღე იზრდება დაპირისპირება ერთ დროს უძლეველ მოსკოვის „სპარტაკსა" და რუსეთის საფეხბურთო კავშირს შორის. დაძაბულობამ პიკს ცსკა — „სპარტაკის" (3:2) მატჩში „სახალხო გუნდის" კარში დანიშნული აბსურდული პენალტისას მიაღწია. სწორედ ამ შეხვედრის დასრულებისთანავე გამართულ პრესკონფერენციაზე გაჰკრა კბილი „სპარტაკის" პრეზიდენტმა რუსული ფეხბურთის მამებს და პირადად ვიაჩესლავ კოლოსკოვს.*

*იმ პენალტში უმთავრესი როლი კი ქართველ მცველ ვალერი აბრამიძეს ეკუთვნოდა. ჩვენებურისა და არმიელი სერგეი სემაკის ორთაბრძოლა მატჩის არბიტრმა სახალხოელთა საწინააღმდეგოდ შეაფასა. მომდევნო ტურში კი ვალერი აბრამიძეს საერთოდ არ უთამაშია. „კრილია სოვეტოვთან" საშინაო მატჩში ის სათადარიგოთა სკამზე იჯდა.*

*ჩვენც „სპარტაკის" ქართველ ლეგიონერს გუშინ პირველად ამაზე დავეკითხეთ*

— განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. უბრალოდ, მწვრთნელმა ასე მიიჩნია საჭიროდ და მეც სხვა რა გზა მქონდა. არა უშავს, ვეცდები, მომავალ ტურებში გუნდის ძირითადში ადგილი დავიბრუნო.

**— ხომ არ ფიქრობ, რომ ოლეგ რომანცევმა ცსკა-თან მომხდარი ამბების გამო არ გათამაშა? იმ მატჩში ხომ მსაჯმა სწორედ შენ დაგადანაშაულა და პენალტი დანიშნა...**

— არა, ეს არაფერ შუაშია. თავად კლუბის პრეზიდენტმაც სახალხოდ განაცხადა, რომ ის პენალტი გამოგონილი იყო. საყვედური ჩემთვისაც არავის უთქვამს.

**— ისე, ცსკა-სთან წაგებას რუსეთში გვარიანი ხმაური მოჰყვა.**

— ეს მარცხი თითქმის ყველამ მსაჯს დააბრალა. ჩვენს კარში დანიშნულმა პენალტმა მართლაც ცუდად იმოქმედა გუნდზე. დაპირისპირებაც ამან გამოიწვია. „სპარტაკის" ხელმძღვანელობამ ხმამაღლა განაცხადა, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირს ჩვენი ჩემპიონობა არ სურს, თუმც ეს მე არ მაინტერესებს. ჩემი საქმე მოედანზე გასვლა და ფეხბურთის თამაშია.

**— ჩემპიონატის საწყისი ტურები ტრავმის გამო გაგიცდა...**

— შეკრებები ტრავმების გარეშე გავიარე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დავშავდი. ჯერ მუხლი მტკიოდა, მერე კი საზარდულმაც შემაწუხა. ღვთის წყალობით, ახლა თავს კარგად ვგრძნობ. არადა, ორ კვირაზე მეტი საერთოდ არ მივარჯიშია და ძირითად შემადგენლობაშიც, ცხადია, ჯერ ამიტომაც ვერ ვხვდები.

**— საქართველოს ნაკრების კანდიდატი ხარ და ივო შუშაკზეც გვითხარი ორიოდ სიტყვა.**

— ვფიქრობ, შუშაკი კარგი მწვრთნელია. მან კარგად იცის ქართული ფეხბურთი. „დინამოში" მუშაობით საქართველო გაიცნო, ჩვენი მენტალიტეტი შეისწავლა. ჩემი აზრით, მისი დანიშვნა ნაკრებს აუცილებლად წაადგება. თან მას არც ადაპტაციისთვის დასჭირდება დრო და იმედი მაქვს, წარმატებული შედეგებიც ექნება.

**— რუსეთის ნაკრებს მაყურებლების გარეშე ვმასპინძლობთ. მანდ რას ამბობენ ამაზე?**

— რუსები თავადაც გაკვირვებულნი არიან. ვერ ვიტყვი, გაუხარდათ თუ ეწყინათ, მაგრამ ფაქტია, ვერ წარმოუდგენიათ, როგორი იქნება ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში. ისე, ეს მართლაც ძნელი აღსაქმელია. ქართველი გულშემატკივარი ამ თამაშს ამდენ ხანს ელოდა და... ახლა რა? მაყურებელი ფეხბურთის მნიშვნელოვანი ნაწილია და უმისობა, ალბათ, ჩვენი მეტოქისთვისაც კი ძნელი შესაგუებელი იქნება.

**ძაბა შალამბერიძე**

# მოსკოვმა იცოდა

## საქართველო ტელევიზორთან

**უეფას** სადისციპლინო კომიტეტის განაჩენით, საქართველო—რუსეთი ცარიელი' ტრიბუნების წინ ჩატარდება. ეს გადაწყვეტილება ლახვარივით მოხვდა სფფ-ს და რკინიგზის დეპარტამენტს. ქართველი საფეხბურთო ჩინოსნები პირველ რიგში იმ ზარალზე საუბრობენ, რაც უმაყურებლო მატჩს მოჰყვება. ცხადია, ზარალი გაცილებით დიდი და მასშტაბურია — პირველ რიგში გულშემატკივარი დაზარალდა. ფეხბურთი ხომ ქომაგისთვისაა, 30 აპრილს კი ქომაგი უფეხბურთოდ დარჩება.

ითქვა, რომ უეფას ასეთ გადაწყვეტილებაში არცთუ მოკრძალებულია ვიაჩესლავ კოლოსკოვის წვლილი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცს და უეფას ვიცე-პრეზიდენტს დღეს უეფას გადაწყვეტილებით გულმოკლული კაცის ნიღაბი აქვს აფარებული, მის კომენტარში მაინც იგრძნობა, რომ რუსეთისთვის ასი პროცენტით სასარგებლო გადაწყვეტილება არ მიუღიათ ნიონში.

*— სერიოზული სასჯელია — ამბობს ვიაჩესლავ კოლოსკოვი — შვეიცარიასთან მატჩში ქართველებმა მოახერხეს წესრიგის დამყარება. ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა. ჩვენი ფეხბურთელებისთვისაც არაკომფორტული იქნება ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში. ვინ იცის, რამდენი გულშემატკივარი შეიკრიბება სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე. არ არის გამორიცხული, ამ თავყრილობას უწესრიგობა მოჰყვეს. საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში როგორ დაამყარებენ თბილისელი სამართალდამცავები წესრიგს? ამიტომ არ ვფიქრობ, რომ უეფას ეს გადაწყვეტილება ფეხბურთის ინტერესებიდან გამოდის.*

კოლოსკოვის ამ კომენტარში ქართველებისადმი თანაგრძნობაზე უფრო უკმაყოფილება იგრძნობა. საინტერესოა, რა სურდა რუსეთს?

მიუხედავად რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალური მდივნის ვლადიმირ როდიონოვის არაერთგზის უარყოფისა, რუსეთს მატჩის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარება უნდოდა. სხვათა შორის, საქართველო—რუსეთის ჩაშლილი მატჩის შემდეგ პირველი, ვინც ნეიტრალურ მოედანზე ალაპარაკდა, კოლოსკოვი იყო, მისი ეს პოზიცია უეფას ოფიციალურ ვებ-გვერდზეცაა დაფიქსირებული, ამიტომ რუსთა საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა რაც არ უნდა ითვალთმაქცოს, ფაქტს ვერაფრით გაექცევა — მან თავისი ქვეყნისთვის სასარგებლოდ მოთხოვნილი მაქსიმუმიდან არცთუ მცირეს გამოჰკრა ხელი. სწორედ თვალთმაქცობაა იმის თქმა, რომ საფეხბურთოზე გაცილებით დიდი და მნიშვნელოვანი ემოციებით დამუხტული ტრიბუნების თვალწინ თამაში უფრო კომფორტული იქნება გაზაევის გუნდისთვის.

კვლავ რუს საფეხბურთო მოხელეთა კომენტარებს მივუბრუნდეთ. როგორც ვთქვით, *ვლადიმირ როდიონოვმა* ოფიციალური განცხადება იმის შეხსენებით დაიწყო, რომ რუსეთი ნეიტრალურ მოედანზე თამაშს არ ითხოვდა. მერე კი ეს თქვა:



ვიაჩესლავ კოლოსკოვს საქართველო — რუსეთის უმაყურებლობა ვითომ სწყინს?

*— ორმაგი გრძნობა მაქვს. არ მომწონს ფეხბურთი უმაყურებლოდ, მაგრამ საფეხბურთო ხულიგანთა ზღვარგადასული საქციელიც დაუშვებელია. სამწუხაროა, რომ ქართველები ცარიელი ტრიბუნებით დაგვიხვდებიან, მაგრამ ამაში მათი ქომაგები არიან დამნაშავე.*

ნიონურ გადაწყვეტილებაში რუსთა ხელი რომ ურევია, ამას რსკ-ს გენერალური დირექტორის *ალექსანდრ ტუკმანოვის* ნათქვამიც მოწმობს.

*— ასეთი ვერდიქტი მოსალოდნელი იყო. ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ მატჩი თბილისში გაიმართებოდა, ოღონდ ცარიელი ტრიბუნების წინ. ჩვენი პროგნოზი გამართლდა.*

ასეთ მოლოდინში იყვნენ რუსები ნიონურ თავყრილობამდე, მაშინ, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში იმაზე იმტვრევდნენ თავს, თუ რა თანხით დაგვაჯარიმებდა უეფა. სფფ-ში აზრადაც არ მოსვლია არავის, რომ ცარიელ ტრიბუნებს მოგვისჯიდნენ დანასროლიების დასაცხრომად. რუსი კი ფიქრობდა...

გუშინდელ „სარბიელში" საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრთა მოსაზრებებს გაეცანით. საინტერესოა, რას ფიქრობენ რუსი ფეხბურთელები. ქვემოთ რამდენიმე მათგანის კომენტარს გთავაზობთ.

*ვენიამინ მანდრიკინი:*

„მახსოვს, შარშან საქართველოსთან მატჩის წინ როგორ უსტვინეს ჩვენს ჰიმნს. მე ერთხელ მითამაშია ცარიელი ტრიბუნების წინაშე. ეს იყო პეტერბურგში, 2000 წელს. მაშინ ჩემი „ალანია" „ზენიტთან" დამარცხდა. ამიტომ საკითხავია, წარმოადგენს თუ არა უპირატესობას სტუმრისთვის ცარიელი ტრიბუნები. ერთი მხრივ, მასპინძელთა ფანები ნერვებს არ გიშლიან, მეორე მხრივ კი ფსიქოლოგიურად მაინც მძიმეა ცარიელი ტრიბუნების წინ კონცენტრირება."

*სერგეი სემაკი:*

„საწყენია, რომ რამდენიმე ხულიგნის გამო ნორმალური ქართველი გულშემატკივარი დაზარალდება. დარწმუნებული ვარ, ბევრ მათგანს ჩვენი ნაკრებისადმი სიმპათიები აქვს. 1998 წელს ცსკა-ს შემადგენლობაში მითამაშია სანკტ პეტერბურგში „ზენიტთან" ცარიელი ტრიბუნების წინ, მაშინ მოვიგეთ, მაგრამ რაღაცნაირად შებოჭილები ვიყავით, რაღაც გვაკლდა. ეს რაღაც მაყურებელი იყო. როცა გულშემატკივარი არ არის სტადიონზე, საფეხბურთო ატმოსფერო იკარგება."

*ვიქტორ ონოპკო:*

„რამდენადაც ვიცი, უეფამ საქართველო—რუსეთის და საქართველო—ირლანდიის მატჩებისას მომხდარი ინციდენტებით იხელმძღვანელა. მე ვერ გეტყვით, რა მოხდა ირლანდიასთან, მაგრამ ოქტომბერში თბილისში სტუმრობისას ცუდი განცდა დამიტოვა ერთმა ტაიმმა. მახსენდება, როგორ დაუშინეს ქვები ჩვენს ავტობუსს სტადიონიდან გასვლისას. ცარიელი ტრიბუნების წინ არასდროს მითამაშია. მეცოდება ქართველი გულშემატკივრები, შინ, ტელევიზორებთან ჯდომა რომ მოუწევთ".

*ვლადიმირ ბესჩასტნიხი:*

„ოფიციალურ მატჩში ცარიელი ტრიბუნების წინ არ მითამაშია. ძნელად წარმომიდგენია ასეთ ვითარებაში მოედანზე გასვლა. ყველამ იცის, როგორ უყვართ ფეხბურთი საქართველოში. 30 აპრილის მატჩს სულმოუთქმელად ელოდნენ თბილისში. მეორე მხრივ, უეფას რაღაც რეაგირება უნდა მოეხდინა, თორემ სად იყო გარანტია, რომ მსგავსი ინციდენტები არ განმეორდებოდა?



ვიქტორ ონოპკოს ტელევიზორთან დარჩენილი ქართველი გულშემატკივარი ეცოდება

ასეთია რუს ფეხბურთელთა მოსაზრება და რამდენად გულწრფელი, თავად განსაჯეთ. ჩვენ კი ქვემოთ 1985 წლიდან დღემდე ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარებულ საერთაშორისო მატჩებს გაგაცნობთ. აქვე ისიც ვთქვათ, რომ უმაყურებლო თამაშის პერსპექტივა საშინაო შეხვედრისას რუსებსაც ჰქონდათ. 1992 წლის 28 ოქტომბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუსეთს ლუქსემბურგთან ცარიელი ტრიბუნების წინ უნდა ეთამაშა. ეს გადაწყვეტილება ალვირახსნილი ლუჟნიკელი გულშემატკივრების მიზეზით თავად ვიაჩესლავ კოლოსკოვმა მიიღო და ზედ მატჩის დაწყების წინ თავადვე გადათქვა — ბოლო მომენტში სტადიონის სიახლოვეს თავშეყრილი 3000-მდე გულშემატკივარი ტრიბუნებზე შეუშვეს.

**პაატა ძვანტალიანი**



ვლადიმირ ბესჩასტნიხი

### ცარიელი ტრიბუნების წინ გამართული საერთაშორისო მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.11.1985 | იუვენტუსი — ვერონა | 2:0 | ჩემპიონთა თასი |
| 30.09.1987 | ნაპოლი — რეალი | 1:1 | ჩემპიონთა თასი |
| 09.12.1987 | ჰოლანდია — კვიპროსი | 4:0 | ევროპესარჩევი |
| 03.10.2002 | პარტიზანი — სპორტინგი | 3:3 | უეფას თასი |
| 29.03.2003 | მავრიტანია — ეგვიპტე | 0:1 | აფრიკის თასი |
| 02.04.2003 | სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი | 4:0 | ევროპესარჩევი |



REUTERS

პერუჯელი უილიამ ვიალის ეს დარტყმა საგოლე რომ ყოფილიყო, ფინალშიც მისი გუნდი გავიდოდა

# მინუს 70335 მაყურებელი და სანტიმეტრები

## იტალია

### თასის 1/2 ფინალი საპასუხო მატჩი

**მილანი 2:1 პერუჯა (0:0)**

1:0 ტომასონი (40), 2:0 ნესტა (52), 2:1 კარაჩოლო (84)

მილანი: აბიატი, ჰელვეგი, ლაურსენი, ნესტა, კოსტაკურტა, გატუზო, ამბროზინი, ბროკი (დალა ბონა 89), რუი კოშტა (ბა 86), შევჩენკო (ფ. ინძაგი 68), ტომასონი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

პერუჯა: კალაჩი, დი ლორეტო, ვიალი, სულჩისი (ბერეტონი 66), ზე მარია, ტედესკო, ბლაზი, ფუზანი (ობოდო 20), გროსო, მიკოლი, ვრიზასი (კარაჩოლო 51)

მწვრთნელი: სერსე კოზმი

გაფრთხილება: ვიალი, სულჩისი, დი ლორეტო, ობოდო, გატუზო, ინძაგი

მსაჯი: როდომონტი

9 665 მაყურებელი

„მილანმა" „პერუჯას" 2:1 მოუგო. პირველი შეხვედრა უგოლო იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მაისში კოპა იტალიას ფინალში კარლო ანჩელოტის შეგირდები ითამაშებენ.

„შავ-წითელთაგან" გოლები იონ დალ ტომასონმა და ალესანდრო ნესტამ გაიტანეს, შეხვედრის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე კი ერთი საპასუხო ანდრეა კარაჩოლომ შეაგდო — ბოლო წუთები მილანელთათვის ფრიად სანერვიულო გამოდგა.

„სეზონი ჯერ კიდევ კარგა ხანს გაგვიგრძელდება. ახლა იტალიის თასის ფინალში, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში და იტალიის პირველობის ფინიშის სწორზე ვართ, ჩვენ მთელი ამ გზის ბოლომდე გავლა გვინდა" — განაცხადა შეხვედრის დამთავრების შემდეგ ალესანდრო ნესტამ.

...შესვენებას ხუთი წუთი აკლდა, როდესაც ტომასონმა „მილანი" დააწინაურა. ეს ასე მოხდა: კრისტიან ბროკის დარტყმული ბურთი ნესტას მოხვდა და ცომ-ცომ ეხლა „ფეიენოორდის" ყოფილ თავდამსხმელს.

შესვენებიდან შვიდი წუთის შემდეგ „მილანმა" მეორე გოლი გაიტანა — პორტუგალიელმა ნახევარმცველმა რუი კოშტამ ჩააწოდა, ზემოხსენებულმა ნესტამ კი ბურთს თავი უხელთა და პერუჯელთა კარში შეაგდო.

აქ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს „მილანს" უკვე თავი ქუდში ჰქონდა, მაგრამ მატჩის მიწურულს მასპინძლებს, რომელთა შეხვედრას 80 ათასიან „სან სიროზე" მხოლოდ და მხოლოდ 9665 ადამიანი ესწრებოდა, იღბლის დახმარება დასჭირდათ. როგორც მოგახსენეთ, შეცვლაზე შესულმა კარაჩოლომ ბრაზილიელი ზე მარიას პასს უხელთა და სხვაობა შეამცირა, ხოლო მსაჯის წამატებულ წუთებში ფაბრიციო მიკოლიმ, რომელიც „იუვენტუსის" საკუთრებაა და მომავალი სეზონიდან ტურინულ გუნდში ითამაშებს, საჯარიმოდან ძელს გაარტყა ბურთი.

ანგარიში რომ გათანაბრებულიყო, ფინალში „პერუჯა" გავიდოდა და ამის საშიშროება ანჩელოტის ფეხბურთელებს მიკოლის ჯარიმის შემდეგ მაშინაც დაემუქრათ, როდესაც ემანუელ ბერეტონიმ სცადა დამიზნება, მაგრამ „მილანის" მეკარემ, კრისტიან აბიატიმ მოიგერია.

და კიდევ, შეხვედრის ბოლო წამებზე იმავ ბერეტონის მიერ ხალხით სავსე საჯარიმოში ჩაწოდებულმა ბურთმა კარში შემგდები, უყოყმანო ფეხი ვერ იპოვნა — ქურთს წინ წასული „პერუჯას" ავსტრალიელი მეკარე ზელიკო კალაჩი შეეხო და უხეიროდ დაარტყა. არადა, კალაჩს უკან კიდევ ორი პერუჯელი გახლდათ ჩასაფრებული.

„ამ სეზონში ჩვენ უეფას თასზე გასვლას ვოცნებობდით. ვიცით, რომ ჩემპიონატში ამის გაკეთება ძალიან გაგვიჭირდება, რადგან იქ „პარმა" და „კიევო" გვისწრებენ და ამიტომაც თასის გვეიმედებოდა. მატჩის მიწურულს ფინალისგან სანტიმეტრებშიღა ვიყავით" — განაცხადა დამარცხებულთა თავკაცმა სერსე კოზმიმ.

**ბაჩუნა ძიდია**

# ფრეტონ პარკის რევოლუცია

## ინგლისი

### 1 დივიზიონი გადადებული მატჩები

**პორტსმუთი 1:0 ბარნლი**

1:0 ტოდოროვი (73)

**რედინგი 5:1 პრესტონი**

1:0, 2:0 ფორსტერი (30, 42), 3:0 შორი (57), 4:0 ფორსტერი (58), 4:1 მირსი (83), 5:1 ჰენდერსონი (90)

**შეფილდ იუნ. 1:0 ნოტინგემი**

1:0 ასაბა (62)

**უოლსოლი 0:0 ქოვენთრი**

„ვესტ ჰემის" ყოფილი მენეჯერი ჰარი რედნაპი კვლავ პრემიერლიგაშია. თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, ეს მნიშვნელოვანი არ არის, მნიშვნელოვანი ისაა, რომ მისგან გაწვრთნილი „პორტსმუთი" თხუთმეტწლიანი შესვენების შემდეგ ინგლისის საუკეთესო ოცეულს უბრუნდება და პირველად შეაბიჯებს პრემიერლიგაში.

პორტსმუთელი სვეტოსლავ ტოდოროვის მიერ „ბარნლის" კარში 73-ე წუთზე გატანილმა შეხვედრის ერთადერთმა გოლმა პორტსმუთელებს (მინაურულად „პომპიზს") ქულათა ის მარაგი შეუქმნა, რომელიც 1 დივიზიონის დარჩენილ თამაშებში უქმობის საშუალებას არ აძლევს.

„ეს საღამო ჩვენი კი არა, ფანებისაა — ხარობდა რედნაპი — მათ მძიმე დღეები გამოიარეს ჩვენთან ერთად. უფრო მძიმე დღეები კი პრემიერლიგაში გველის".

რედნაპს დიდი ამაგი აქვს „ვესტ ჰემზე", რომელმაც ეგებ პორტსმუთელთა ადგილი დაიჭიროს დაბალ დივიზიონში, თუმც, მენეჯერი იმედოვნებს, რომ მისი საყვარელი გუნდი პრემიერლიგაში დარჩება და მასაც „აპტონ პარკზე" მოუწევს თამაში. ასევე გათამაშდება ლამის დავიწყებული სამხრეთული დერბი „საუთჰემპტონთან". საგულისხმო ის იყო, რომ ბოლო ორმოცდარვა საათში სამხრეთულმა ფეხბურთმა მხრები გაშალა და „საუთჰემპტონი" ასოციაციის ფინალში გავიდა, „პორტსმუთმა" კი პრემიერლიგის საგზური მოიპოვა. ამ საგზურის მოპოვების შანსი შაბათსაც არსებობდა, მაგრამ „პომპიზმა" 1:2 წააგო „შეფილდ უენსდეისთან".

ამის მიუხედავად, სამშაბათს ღამით „ფრეტონ პარკზე" 19 221 ერთგული ქომაგი მივიდა და გულიც არავის გატეხია.







ჰარი რედნაპი ბარნელთა ძლევას ხელმძღვანელობდა, მილან მანდარიჩი კი „პორტსმუთის" სადიდებელ პლაკატს აფრიალებდა

რედნაპი, რომელიც შარშან „პორტსმუთის" დირექტორი იყო, ამ სეზონიდან მენეჯერი და ბოსი შეიქნა და მოხერხებული ქირაობითა და თავისუფალი ტრანსფერებით მხოლოდ 2 მილიონ 250 ათასი გირვანქა დახარჯა.

კლუბის სერბი თავმჯდომარე მილან მანდარიჩი თვითონ აფრიალებდა ამაყი შინაარსის პლაკატს, რომელზედაც ეწერა, „საუთჰემპტონს" ფეხი აეწყვეთო.

როგორც კი მსაჯმა ბრაიან კარსონმა სასტვენს ჩაბერა და „ბარნლისთან" თამაშის დასრულება გამოაცხადა, მთელმა „ფრეტონ პარკმა" მინდორზე იხუვლა და კარგა ხანი დასჭირდა ხალხის ტრიბუნებზე დაბრუნებას, გუნდმა საპატიო წრე უნდა დაარტყაო.

„პორტსმუთის" ყველაზე ცნობილი სახეები სეზონში 20 გოლის გამტანი ტოდოროვი და 35 წლის პოლ მერსონი არიან. მერსონს მთელი საფეხბურთო მსოფლიო იცნობს, მას სახელი „არსენალში" დაუგდია და მერე „მიდლსბროსაც" დახმარებია პრემიერლიგაში გადასასვლელად. „ბარნლისთან" მატჩში მან პენალტი ააცილა, თუმცა, ფანტასტიკური სეზონი ჰქონდა. „პორტსმუთშივეა" იტალიელი ჯანლუკა ფესტა და ახლა რედნაპი ამბობს, რომ ზაფხულში ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევს.

მერსონმა კი თქვა: „ამაყი ვარ. ახლა მთავარია, მიწაზე დავბრუნდეთ".

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 42 | 26 | 11 | 5 | 86:40 | 89 |
| ლესტერი | 42 | 25 | 12 | 5 | 68:36 | 87 |
| შეფილდი | 41 | 21 | 10 | 10 | 64:44 | 73 |
| რედინგი | 41 | 22 | 4 | 15 | 55:41 | 70 |
| ნოტინგემი | 42 | 19 | 12 | 11 | 75:44 | 69 |
| ვულვზი | 42 | 18 | 14 | 10 | 71:40 | 68 |
| იფსვიჩი | 42 | 17 | 13 | 12 | 71:56 | 64 |
| ნორვიჩი | 42 | 18 | 10 | 14 | 57:45 | 64 |
| უიმბლდონი | 42 | 15 | 11 | 16 | 66:69 | 56 |
| მილუოლი | 41 | 16 | 8 | 17 | 49:60 | 56 |
| კრ. პალასი | 42 | 13 | 16 | 13 | 55:47 | 55 |
| პრესტონი | 42 | 14 | 13 | 15 | 65:66 | 55 |
| ჯილინგემი | 42 | 14 | 13 | 15 | 53:62 | 55 |
| როტერჰემი | 42 | 14 | 12 | 16 | 56:56 | 54 |
| უოტფორდი | 41 | 15 | 9 | 17 | 49:61 | 54 |
| ბარნლი | 42 | 14 | 10 | 18 | 60:78 | 52 |
| ქოვენთრი | 42 | 12 | 13 | 17 | 46:58 | 49 |
| დერბი | 41 | 14 | 7 | 20 | 50:63 | 49 |
| ბრედფორდი | 41 | 13 | 10 | 18 | 49:62 | 49 |
| უოლსოლი | 42 | 13 | 8 | 21 | 52:65 | 47 |
| სტოკი | 42 | 9 | 14 | 19 | 41:67 | 41 |
| ბრაიტონი | 42 | 10 | 10 | 22 | 42:62 | 40 |
| უენსდი | 42 | 8 | 14 | 20 | 46:69 | 38 |
| გრიმსბი | 42 | 9 | 10 | 23 | 45:80 | 37 |

# ფროს დაბადების დღე

## საფრანგეთი

### ლიგის თასი, 1/2 ფინალი

**სოშო 3:2დ.დ. (2:2) მეცი**

0:1 პრომენი (26), 1:1, 2:1 ფრო (47, 68), 2:2 დიანგი (85), 3:2 მონსორო (99)

„სოშო" ფრანგულ ლიგაში ერთადერთია, შინ რომ არ დამარცხებულა. ლიგის თასის ნახევარფინალში გასული გუნდი მეორედივიზიონელ „მეცს" დაუხვდა და მძიმე ბრძოლაში ფინალის საგზური გამოწურა.

მეცელები უმაღლეს დივიზიონში გადასასვლელად ემზადებიან და ნახევარფინალამდე „ნიცა", „ბორდო" და „ნანტიც" კი დაიფრინეს. სტუმრები მასპინძელთა 20 ათასამდე ქომაგს არ შეუშინდნენ. შეხვედრა რიხით დაიწყეს და ტაიმის შუაწელში კიდეც დაწინაურდნენ. გრეგორ პრომენმა ბრწყინვალე დარტყმით ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ იუბილარის დრო დადგა. პიერ ალენ ფროს მატჩის დღეს 23 წელი შეუსრულდა. მან საკუთარ თავს წყვილი გოლი უძღვნა. ფრომ მეორე ნახევრის დასაწყისშივე ჯერ გაქვითა, ოციოდ წუთში კი მეორეც მიაყოლა. მასპინძლები იგებდნენ, თან სტუმრებს მანუელ ადებაიორი ორი ყვითელი ბარათის გამო გაუძევეს. „სოშოს" შეეძლო, მშვიდად შეენარჩუნებინა სასურველი ანგარიში, თუმც შეხვედრის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე კაცნაკლულმა „მეცმა" მამადუ ლიანგის გოლის წყალობით გაათანაბრა. მეცხრე დამატებულ წუთზე სილოვენ მონსორომ „მეცი" საბოლოოდ დაამწუხრა და სტადიონზე ფრანგული შამპანურის წვიმა წამოვიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS

სანტოსმა (მარცხნივ) პიერ ალენ ფროს დუბლი და დაბადების დღე მიულოცა

## ჰოლანდია

### თასის 1/2 ფინალი

**უტრეხტი 2:1 პსვ ეინდჰოვენი**

1:0 ვან დენ ბერგი (16), 2:0 ტანგე (57), 2:1 კეჟმანი (61)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ჰაინცე (ბახოპიძე 68), ფაბერი, ოიერი, ი. ლი (ლუხიუსი 81; ბრუგინკი 87), რომედალი, ფოგელი, ვან ბომელი, რობენი, კეჟმანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

18 000 მაყურებელი

## ბელგია

### თასის 1/2 ფინალი
### საპასუხო მატჩი

**ბევერსხოტი 0:0 სენტ ტრუიდენი (0:1)**

## შვეიცარია

### თასის 1/2 ფინალი

**ბაზელი 3:0 შაფჰაუზენი**

1:0, 2:0 ა. ესპოზიტო (26, 90), 3:0 ტუმი (90)

## შვედეთი

### მეორე ტური

**ენკიოპინგი 1:1 ლანდსკრონა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ჰამარბი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| ლანდსკრონა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| გიოტებორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| აიკ | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ჰელსინგბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ჰალმსტადი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| იოსტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ელფსბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| სუნდსვალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მალმიო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ენჩოპინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| იორებრო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| იორგრიტე | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

## ამხანაგური მატჩი

**სამხრეთ კორეა 0:1 იაპონია**

0:1 ნაგაი (90)

Copa Toyota Libertadores 2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

#### II ჯგუფი. VI ტური

**უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) 1:1 პაისანდუ (ბრაზილია)**

1:0 კ. ალვარესი (87), 1:1 სანდრო (89)

**სერო პორტენო (პარაგვაი) 1:0 სპორტინგ კრისტალი (პერუ)**

1:0 აკინო (76)

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაისანდუ | 6 | 4 | 2 | 0 | 14:5 | 14 |
| სერო პორტენო | 6 | 2 | 2 | 2 | 8:11 | 8 |
| სპ. კრისტალი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| უნ. კათოლიკა | 6 | 1 | 1 | 4 | 7:12 | 4 |

*„პაისანდუ" და „სერო პორტენო" გავიდნენ შემდეგ ეტაპზე*

ასორტიმენტის საგაზაფხულო განახლება
ბილიარდები
პული, რუსული პირამიდა, სნუკერი


აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელება
სპეციალური ფასები ბილიარდის კლუბებისათვის
მაღაზია სალონი WWW.billiard.ge
ტელ: 95-57-75, ტ/ფ: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ (ყოფ. კამო) No:2

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80



# ბარსელონელი მადრიდში

## გრძნობათა თამაში თამაშამდე

*სამი სეზონია, რაც „ვალენსიას" ლიდერთაგანი ხერარდ ლოპესი „ბარსელონაში" გადაბარგდა და დაიკარგა. ამ ხნის მანძილზე ჩატარებული ხუთი ათეული მატჩი ის ნაღდად არ არის, რაზეც ბარსელონას გზაზე დამდგარი ფეხბურთელი ოცნებობდა. პრიმერადივიზონის წინა ტურში „დეპორტივოსთან" მატჩში ხერარდი სასტარტო შემადგენლობაში იყო და ის კომმარი სხვებთან ერთად გამოიარა*

— „დეპორტივოსთან" სამარცხვინო წაგების მერე „ბარსას" ქომაგები „რეალთან" უარესს ელოდებიან. რითი დაამშვიდებთ?

— ცხადია, ვისურვებდით, რომ „რეალთან" მატჩის წინ უკეთეს მდგომარეობაში ვყოფილიყავით, ვიდრე ახლა ვართ. გვინდოდა, რომ ეს საჩემპიონო მატჩი ყოფილიყო, მაგრამ რაც არის, ველარ შევცვლით. თუმც მადრიდში თავს რომ არ დავზოგავთ და მოსაგებად ვითამაშებთ, ვფიქრობ, ეჭვი არავის ეპარება.

— მადრიდელი ქომაგები თავისი ფეხბურთელებისგან „ბარსას" განადგურებას ითხოვენ...

— ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც ქომაგს სურს. „რეალმა" იცის, რომ იოლად ვერ მოგვერევა.

— „სანტიაგო ბერნაბეუზე" როგორი ვითარებაც დაგხვდებათ, არ გესწავლებათ...

— ეს არ მაშინებს, პირიქით, მთელი სტადიონი შენს წინააღმდეგ რომ არის განწყობილი, მოტივაციას გმატებს. ამიტომ, რაც მეტს იყვირებენ, უკეთესიცაა. ისე, „ბერნაბეუზე" თამაში მომწონს, იქ ორი გოლი მაქვს გატანილი, ერთხელ „ვალენსიაში" ყოფნისას, მეორე სანაკრებო.

**— უშუალოდ მატჩზე რას იტყვით?**

— მადრიდში რომ ჩადიხარ, აეროპორტშივე გრძნობ — რაღაც სხვანაირი განწყობაა. მერე სასტუმროდან გამოდიხარ და იგივეს გრძნობ. მოედანზევე რომ გადიხარ, გაავებული ხალხის გინება გესმის, მაგრამ თამაში იწყება და ეს ყველაფერი გავიწყდება.

**— როცა ვალენსიელი იყავით და „რეალთან" სათამაშოდ ჩადიოდით, მაშინაც ეგეთი განწყობა გეუფლებოდათ, თუ ამას მხოლოდ ბარსელონელები გრძნობენ?**

— „რეალ" — „ვალენსიას", „რეალ" — „ბარსელონასთან" ვერც შევადარებ.

**— სავიოლა არ გეყოლებათ...**

— ცხადია, სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ გვყავს კლუივერტი, ლუის ენრიკე, რიკელმე და ოვერმარსი. მათ არანაკლებ ეხერხებათ გოლის გატანა. ერთი სიტყვით, უმაღლესი კლასის ფეხბურთელების ნაკლებობას არ ვუჩივით. გარდა ამისა, სტრატეგიული კომბინაციები გვაქვს, რაშიც ძალიან ძლიერები ვართ.

**— „რეალი" რითია თქვენზე ძლიერი?**

— მათ ბრწყინვალედ იციან სწორი შეცვლების ხარჯზე თამაშის შებრუნება. ხომ გახსოვთ, „რაიოსთან" აგებდნენ, მერე პორტილიო და მორიენტესი შეუშვეს და მოიგეს.

**— ის ფაქტი, რომ ფავორიტად არ გთვლიან, „ბარსელონას" ფსიქოლოგიურ ტვირთს არ მოუხსნის?**

— ვიმეორებ, ხალხი შეიძლება ერთს ფიქრობდეს, მაგრამ მგონია, რომ თავად „რეალი" არ თვლის თავს ფავორიტად.

**— „დეპორტივოსთან" სასტარტო შემადგენლობაში ითამაშეთ. ასეთი რამ იშვიათად ხდება...**

— ყოველთვის ვამბობდი, კარგად რომ ვითამაშო და სასტარტო შემადგენლობაში ვიყო, ტრავმები არ უნდა მაწუხებდეს. ბოლო სამ წელიწადში სამჯერ მძიმედ დავშავდი, ორი ოპერაცია გამიკეთეს. ჰოდა, თუ ჯანმრთელობა საშუალებას მომცემს, ისე ვითამაშებ, ძირითად შემადგენლობაში ყოფნა დავიმსახურო.

**— თქვენ იმ სტილის ფეხბურთელი ხართ, ანტიჩის ტაქტიკურ სქემას რომ ერგება. ამის თაობაზე მწვრთნელთან არ გისაუბრიათ?**

— არა, ეგეთი საუბარი არ გვქონია. ანტიჩი მეც და ყველა სხვა ფეხბურთელსაც თანაბარ ყურადღებას გვაქცევს. თუმც მისი ჩემით დაინტერესებას სხვაგვარად ვგრძნობ. ყოველ მატჩში მაძლევს თამაშის საშუალებას და ჩემი მოედანზე გატარებული წუთების რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება.

**— ჩანს, რომ თქვენ და ანტიჩი ერთმანეთს კარგად უგებთ...**

— ვან გაალის დროსაც ამბობდნენ, რომ ბევრს ვითამაშებდი. ასე არ მოხდა. თუმცა ვიმეორებ, ანტიჩი მენდობა და ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

**— პრიმერადივიზიონის ცხრილს რომ უყურებთ, არ ითრგუნებით?**

— ჩემპიონთა ლიგის შედეგებს მეტი სიამოვნებით ვუყურებ. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა თასის მოგებაა.

**— მაგრამ პრიმერადივიზიონის უყურადღებოდ მიტოვება სახიფათო არ არის?**

— უყურადღებოდ არც ვტოვებთ. უბრალოდ სადაც მოგების შანსი გვაქვს, იმ ტურნირს მეტ ყურადღებას ვუთმობთ.



# მსაჯს თუ დავუჯერებთ, სავიოლა აფერისტი ყოფილა

ზეგ მადრიდში სუპერკლასიკოა, წინა შაბათს კი, „დეპორტივოსთან" შეხვედრისას, „ბარსელონას" ორი ყვითელი ბარათით ხავიერ სავიოლა გაუგდეს. შედეგად, არგენტინელი „რეალის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს, მაგრამ...

კლუბის იურიდიული სამსახურის უფროსმა ხოსეპ მარია კორონასმა იურიდიულად სწორად გამართული წერილი დაწერა, ზედ „ბარსა" — „დეპორტივოს" თამაშის ვიდეოკასეტა დაადო და ფეხბურთის ფედერაციაში გააგზავნა. ახლა კორონასს და მთლიანად კლუბს იმედი აქვთ, რომ ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტი სავიოლას ორივე ყვითელ ბარათს გაუუქმებს. დავაზუსტოთ: თავდაპირველად კლუბს განზრახული ჰქონდა, მხოლოდ პირველი გაფრთხილება გაეპროტესტებინა, მაგრამ მერე ალბათ იფიქრეს, ორივეს თუ გავაპროტესტებთ, ეგებ ერთი მაინც გააუქმონო, რაც სავიოლას „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშის საშუალებას მისცემს.

პირველ ეპიზოდთან დაკავშირებით არბიტრის, ალფონსო პერეს ბურულის პატაკში წერია: „მასპინძელი გუნდის მეშვიდე ნომერი ფეხბურთელი მეტოქის საჯარიმოში წაიქცა და სიმულირებდა, თითქოს მეტოქემ წესი დაარღვია. სიმულაციისთვის მას ყვითელი ბარათი ამოვუღე".

„ბარსელონა" ახლა იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ სავიოლას მსაჯის შეცდენა არ სურდა და რომ მასსა და „დეპორტივოს" მცველს შორის კონტაქტი იყო, რამაც არგენტინელს წონასწორობა დააკარგვინა და წაიქცა.

მეორე ეპიზოდის თაობაზე კი პერეს ბურული წერს: „განზრახ ხელით თამაშისთვის და ჩემი მოტყუების მცდელობისთვის, ყვითელი ბარათი ვუჩვენე".

აქ „ბარსელონა" ამტკიცებს, რომ სავიოლას ბურთი მხარს ოდნავ ქვემოთ მოხვდა, ცხადია, შემთხვევით და თან, მეტოქის შეტევა ამით არ ჩაუშლია.

კომიტეტის იმსჯელებს...

# ჩხუბისთვის გცალიათ?!

## ლუის ენრიკეს და ოვერმარსის ერთრაუნდიანი

**სამშაბათს**, „ბარსელონას" დილის ვარჯიშზე ლუის ენრიკე და ოვერმარსი ისე გაწიწმატდნენ, რომ ხელდახელ გაიწიეს ერთმანეთისკენ.

დაკა-დაკა მაშინ ატყდა, როდესაც ორად გაყოფილი ბარსელონელები ორკარას თამაშობდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთი ლუის ენრიკესთან აღმოჩნდა, ოვერმარსმა კი მისი ართმევა საკმაოდ უხეშად, იდაყვების გამალებული ქნევით გადაწყვიტა. კატალონიელთა კაპიტანიც ჰოლანდიელისგან ჯერ იმავე ხერხით იცავდა თავს, ხოლო როდესაც ჰოლანდიელი აღარ მოეშვა, ბურთი მიატოვა, თანაგუნდელს ხელი უბიძგა და მომხდარის გამო ახსნა-განმარტება მოსთხოვა. საქმის გარჩევა იქამდე გაგრძელდა, სანამ ხავი და სორინი მოჩხუბართა შუაში არ ჩადგნენ და გაავებული კაპიტანი არ დააშოშმინეს.

**ლადო ხომერიკი**



ლუის ენრიკეს დამშვიდებას ბლომად ხალხის ჩარევა დასჭირდა

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14



# გულებზე მონადირე

## ვინ დაამარცხებს რეალს? მხოლოდ რეალი! ამტკიცებს რონალდო

*მადრიდის „რეალმა“ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში თავის უშუალო კონკურენტთან, სან სებასტიანის „რეალ სოსიედადთან“ წაიტეხა კისერი და ამ შაბათს „ბერნაბეუზე“ „ბარსელონასთან“ უნევს არანაკლებ მძვინვარე ჯახი. სამეფო კლუბის ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდო კვლავაც იმედიანადაა და ესპანელ ჟურნალისტებთან საუბარში, პესიმიზმის ნიშანწყალსაც არ ამჟღავნებს.*

**— შეგიძლიათ ახსნათ, რა მოხდა „სოსიედადთან“ „ანოეტაზე“? ჩემპიონობის მოპოვებას საფრთხე ხომ არ ემუქრება?**

— ჩვენი სწრაფვა ჩემპიონობისკენ იგივე რჩება. „დეპორტივოსა“ და „სოსიედადს“ 3 ქულით ვუსწრებთ და ლიდერობის დათმობას არ ვაპირებთ. ვაღიარებ, რომ უხეიროდ ვითამაშეთ, რა თქმა უნდა, ცუდია კონკურენტთან წაგება, მაგრამ იმედი მაქვს, მსგავსი აღარ განმეორდება.

**— თქვენი აზრით, მადრიდის „რეალისთვის“ რომელი უფრო სახიფათო მეტოქეა: „დეპორტივო“ თუ „სოსიედადი“?**

— ჩვენვე ვართ ჩვენი ყველაზე სახიფათო მეტოქე. საკუთარ თავს თუ შეცდომების ჩადენას ავუკრძალავთ, ჩემპიონობას აუცილებლად გავინაღდებთ. „რეალის“ უახლოესი კონკურენტებიც არ არიან მოულოდნელი მარცხისგან დაზღვეულნი. მე ახლაც მჯერა, პრიმერადივიზიონში ვადაზე ადრე გავიმარჯვებთ.

**— მატჩის მსვლელობისას დაშავდით. მუხლზე ჭრილობამ ხომ არ დაგაფრთხოთ?**

— თუ რაიმემ დამაფრთხო, ეს იყო დარტყმა ნაოპერაციებ მუხლზე, მაგრამ ახლა უკვე დავრწმუნდი, რომ მუხლი ძლიერი მაქვს, მრავალი დარტყმის გადატანაც შემიძლია და შიში ყოვლად უსაფუძვლოა. ალბათ, უფრო ჭრილობიდან გამოსულმა სისხლმა შემაშფოთა. მე ჩვეულებრივი ადამიანი და ფეხბურთელი ვარ.

**— „ანოეტაზე“ „რეალის“ ერთ-ერთი გოლის ავტორი თქვენც იყავით. რატომ იტანთ უფრო მეტ გოლს „სანტიაგო ბერნაბეუს“ გარეთ? მადრიდული „ინჩასას“ სტვენა ხომ არაა ამის მიზეზი?**

— ნამდვილად არ მახსოვს რამდენი ბურთია ჩემს ანგარიშზე საშინაო შეხვედრებში და რამდენი. გამიხარდა, „სოსიედადთან“ რომ გავიტანე, თუმცა, ეს გოლი უფრო „რეალის“ დირექციასთან სანაძლეოს მოგებაში დამეხმარა, ვიდრე იმ მატჩის გადარჩენაში. ყოველთვის მინდა გულშემატკივარს ლამაზი თამაშით სიხარული მივანიჭო.

**— „ინჩასა“ და მისი მრისხანება?**

— ადრეც ვფიქრობდი და ახლაც ასე ვთვლი, რომ მადრიდული პუბლიკა ძლიერ მომთხოვნია. ეს ხალხი დიდებული ფეხბურთელების და გოლების ხილვას მიეჩვია. მინდა მათთვის ერთ-ერთი ამ ფეხბურთელთაგანი გავხდე. ჩემი მიზანი „ინჩასას“ გულის მონადირებაა.

**— 19 აპრილს „ბარსელონასთან“ გიწევთ შეჯახება. პირველ წრეში, „კამპ ნოუზე“ გრიპის გამო ვერ შესძელით თამაში. ამჟამად რას გრძნობთ მომავალ დერბისთან დაკავშირებით?**

— დიდი სურვილი მაქვს ამ მატჩის მოგებისა. მინდა, რომ რაღაც დაუვიწყარი, შესანიშნავი რამ გამოვიდეს და საუკეთესო სპორტული ფორმის მისაღწევად, დერბიმდე დარჩენილი დღეების განმავლობაში მთელი დატვირთვით ვიმუშავებ. დიდებული და, ამასთან ერთად, ურთულესი შეხვედრა იქნება. უნდა გავიმარჯვოთ, რადგან, სამი ქულის მოპოვება ახლა ჩვენთვის ძლიერ მნიშვნელოვანია.

**— „ბარსასთან“ გოლის გატანა თუ მოახერხეთ, ჩვეულებისამებრ ზეიმით აღნიშნავთ?**

— დიახ, რატომაც არა.

**— რადგან კატალონიური კლუბი თქვენი ყოფილი გუნდია, იმიტომ გეკითხებით...**

— თუ გოლს გავიტან, ისე ვიზეიმებ, თითქოს პირველად გამეტანოს. ნებისმიერი გოლის დროს ასე ვიქცევი და ყოველთვის ასე გავაკეთებ, სხვაგვარად არც შემიძლია.

**— „რეალი“ დიდ გამარჯვებებს ყოველთვის ლას სიბელესის შადრევანთან ზეიმობს. თქვენ ჯერ კიდევ არ ყოფილხართ ამ ბედნიერ ადგილზე. როდის გეგმავთ ამის გაკეთებას?**

— როდესაც საკონტინენტთაშორისო თასი ავიღეთ, მინდოდა ლას სიბელესზე მეც მიმეღო საერთო მხიარულებაში მონაწილეობა, მაგრამ ვერ შევძელი. შადრევანთან მოზეიმე ძმაკაცები ტელევიზორით ვნახე, ამაღელვებელი და ლამაზი სანახაობა გახლდათ. მჯერა, ამ სეზონში აუცილებლად მომიწევს იქ ყოფნა.

**— ფიქრობთ, რომ პრიმერადივიზიონის გარდა ჩემპიონთა ლიგაშიც გაიმარჯვებთ?**

— დიახ, რა თქმა უნდა. ქვეყნის ჩემპიონატში ჯერჯერობით პირველ ადგილზე ვართ და კლუბის განწყობაც, შესაბამისად — საბრძოლოა. თუ საშინაო შეხვედრებს მოვიგებთ და გასვლაზე ნაკლებ ქულას დავკარგავთ, ყველაფერი კარგად იქნება. ჩემპიონთა ლიგაშიც კარგი შედეგი გვაქვს „მანჩესტერ იუნაიტედთან“. ჩემი აზრით, „რეალი“ ნახევარფინალში გავა. ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ყოველთვის წარმატების მჯერა.

**ლადო ხომერიკი**

# ვინ გაიმარჯვებს გამარჯვების დღეს?

## ფიფაში რობერტო კარლოსს არ დაუჯერეს

ფიფას მოხელეებმა დაადასტურეს, რომ ბრაზილიის ნაკრების მცველმა, რობერტო კარლოსმა მათ ორგანიზაციაში საჩივარი შეიტანა. მიზეზი ცნობილია, რობერტო კარლოსს დროებით სანაკრებო შეხვედრებში მონაწილეობა აქვს აკრძალული. მოგეხსენებათ, 29 მარტს, პორტუგალიისა და ბრაზილიის ნაკრებთა ამხანაგური მატჩის დროს იგი მსაჯს, ისრაელელ ალონ იეფეტს არ დაეთანხმა და ეს ეპიზოდი მოედნიდან გაძევებად დაუჯდა.

ერთი სიტყვით, კარლოსმა ფიფას გადაწყვეტილება გააპროტესტა, მაგრამ მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარემ, მარსელ მატიემ მატჩის ვიდეოჩანაწერი ნახა და ფეხბურთელს საჩივარზე უარი უთხრა.

„აპელაცია უარყოფილია — წერია ფიფას განცხადებაში — არსებობს თვალსაჩინო დასტური იმისა, რომ დისკვალიფიკაცია სამართლიანად გახლდათ მისჯილი“.

საბოლოო გადაწყვეტილება 9 მაისს გახდება ცნობილი. ამ დღეს ციურიხში ფიფას სადისციპლინო კომიტეტი შეიკრიბება.

დასჯილია აგრეთვე პორტუგალიელი ფეხბურთელი ჟოაო პინტუ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე, კორეელებთან შეხვედრაში მსაჯს, ანხელ სანჩესს ეძგერა. პინტუ ოთხი თვით გამოეთხოვება ნაკრების მაისურას.

**პაატუნა ძიდია**



ფიფაში რობერტო კარლოსის (№6) თამაში ვიდეოზე ნახეს და არ მოუწონეს

# უეფამ სასჯელი ჩამოარიგა



ჟოზე მაურინიუს რომში ტრიბუნაზე იჯდება

უეფას თასის „პორტუ“ — „ლაციოს“ პირველი ნახევარფინალური მატჩის მიწურულს მასპინძელთა მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ გააძევეს. მაურინიუმ ჯერ მსაჯის მორიგი გადაწყვეტილება გააპროტესტა, მერე კი „ლაციოს“ ფეხბურთელს აუტის მოწოდებისას ხელს უშლიდა.

ჟოზე მაურინიუ რომში სათადარიგოთა სკამზე ვეღარ მოკალათდება და ტრიბუნაზე გადაინაცვლებს. გარდა ამისა, უეფას სასარგებლოდ „პორტუს“ მწვრთნელი 2000 ევროსაც გადაიხდის.

დისციპლინარებმა „ინტერი“ — „ვალენსიას“ მატჩიც გაარჩიეს. მილანში, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, ალბელდა და ემრე წაკინკლავდნენ. თურქს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გასაჩივრების უფლების გარეშე გამოუწერეს, ალბელდას კი — ორმატჩიანი, თუმცა ესპანელს გასაჩივრება 18 აპრილამდე შეუძლია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ასეც ხდება

## ოთხი გააძევს, ერთი გაიპარა

ფეხბურთის ისტორიაში სრულიად უნიკალური შემთხვევა მოხდა ბრაზილიაში, რორაიმას შტატის ჩემპიონატის მატჩისას.

„რიუ ნევრო“ საკუთარ მოედანზე 5:0 უგებდა „ნაუტიკუს“. 72-ე წუთისთვის სტუმრებს უკვე სამი ფეხბურთელი ჰყავდათ გაძევებული, ნაზსენებ დროს კი მსაჯმა მეოთხესაც აუფრიალა წითელი ბარათი. ჰოდა, როგორც წესი და რიგია, თუ გუნდი შვიდი ფეხბურთელით რჩება, მსაჯი ვალდებულია, თამაში შეწყვიტოს. მსაჯიც ასე მოიქცა, დაუსტვინა, თამაში შეაჩერა და სანამ გუნდებს მოედნიდან გაიყვანდა, ერთხელაც გადაითვალა: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... „ნაუტიკუს“ მეშვიდე ფეხბურთელს მსაჯი კარგა ხანს ამაოდ ეძებდა, არადა, ოთხი გაძევების შემდეგ სტუმრებს სწორედ შვიდი ფეხბურთელი უნდა დარჩენოდათ (11-4=7).

საბოლოოდ გაირკვა, რომ „ნაუტიკუს“ ერთ-ერთი მოთამაშე მატჩის მსვლელობისას მოედნიდან უბრალოდ გაიპარა.

**ძოტე ძეძელია**



ხოსე კარანცას ორი დღე საბანკო ანგარიშებს უსუფთავებდნენ

# კრიმინალური საკითხავი

კარგი იქნება, ქართველი პოლიციელები თუ არ წაიკითხავენ ამ ამბავს, თორემ ვაითუ, მერე თქვან, რას გვერჩით, ხალხს სხვაგანაც იტაცებენო.

ეს ამბავი პერუში მოხდა, ოღონდ სანამ გატაცების დეტალებს ვიტყოდეთ, ცოტა შორიდან დავიწყოთ.

შარშან დეკემბერში საპორტო ქალაქ კალაოს პოლიციამ „უნივერსიტარიოს“ ფეხბურთელი მარიო გომესი და მისი ბიძაშვილი რაულ ურბინა დააპატიმრა. მათ ერთ-ერთ წვეულებაზე ორი კაცის დაჭრა დაედოთ ბრალად. გომესის თქმით, აყალმაყალის მოწყობა სულაც არ სურდა, მაგრამ აიძულეს. მავანმა სტუმარმა მე და ჩემი ბიძაშვილის ყოფილ მეგობარ გოგონას გვესროლა, ბედად, აგვაცილა და მომდევნო გასროლით რომ არ მოვეკალით, საპასუხოდ ვესროლე და დავჭერიო. ერთი სიტყვით, თავს ვიცავდიო. როგორც მოგახსენეთ, ამ იარაღობანაში კიდევ ერთი კაცი დაიჭრა, პოლიციის მტკიცებით, ბიძაშვილის ტყვიით. ახლა გომესიც და რაულ ურბინაც ციხეში სხედან.

ეს ამბავი იმიტომ მოვყევით, რომ უნივერსიტარიოელი ხოსე კარანცა სწორედ მაშინ გაიტაცეს, როცა ციხიდან გამოვიდა. ციხეში კი ის გომესის სანახავად იყო მისული. კარანცა კვირას გაიტაცეს, სამშაბათს კი უვნებლად გაუშვეს.

ფეხბურთელის ცოლისძმამ, ხორხე როდრიგესმა ჟურნალისტებს უთხრა, გამტაცებლებს გამოსასყიდი არ მოუთხოვიათ, უბრალოდ, ჩემს სიძეს საკრედიტო ბარათები წაართვეს, ბანკომატებიდან მთელი ფული მოხსნეს და ამის მერელა გაუშვესო.

**ძოტე ძეძელია**









პოლ გესქოინის გზა „მიდოუში" მიდის

# გაზა (არი)ზონაშია!

## ბოლო შანსი და... ბოლო ბოთლი?

*კაცი რომ ჩინეთში გვეგონა და ვშფოთავდით, ემანდ ატიპურ პნევმონიას არ გამოჰკრას ხელიო, აგერ, სულ სხვა ნახევარსფეროში, არიზონას შტატის ქალაქ ფინიქსიდან 100 კილომეტრში აღმოჩნდა — იქაურ „მიდოუს" კლინიკაში ლოთობისგან თავის დაღწევას კიდევ ერთხელ ცდილობს პოლ გესქოინი*

**ინგლისური** ფეხბურთის ექს-ვარსკვლავი და ყველაზე სკანდალური მოთამაშე ცნობილ ამერიკულ კლინიკას ორშაბათს დაუკავშირდა და თავისი მორიგი „მტკიცე" გადაწყვეტილება აცნო, ბოთლს საბოლოოდ უნდა ჩამოვშორდეო. სიტყვა და საქმე ერთი იყო — მეორე დღესვე გესქოინი ლონდონის „ჰითროუს" აეროპორტში მივიდა, ოღონდ უკვე გალეშილი და ბოთლით ხელში. აი, როგორ აღწერს აეროპორტის სიტუაციას გაზეთ „სანის" რეპორტიორი: „სოლიდურად კი ეცვა, მაგრამ ფეხზე დგომა უჭირდა და სასმელსაც შიგადაშიგ პირის ნაცვლად სამოსზე ისხამდა. ჩვენს შეკითხვაზე, საით გაგიწევიაო, გვიპასუხა — ცხადია, ჩინეთშიო. ცოტა ხანში ფინიქსის რეისი გამოცხადდა და პოლიც იქით წაბორძიალდა".

თქმა რად უნდა, გაზეთის ბიჭები გესქოინს ფინიქსის აეროპორტშიც დახვდნენ და მიხვდნენ, რომ მათთვის საინტერესო პიროვნებამ ატლანტის ოკეანის თავზეც კარგად მოილხინა. შედეგად, აეროპორტში მისულ კლინიკის თანამშრომელს გაზამ ესღა უთხრა — წაშლილი ვარ, დიდი ბოდიშიო. არა უშავს, მაგაზე ჩვენთან ვისაუბროთო, მიუგეს და მანქანით იმ კლინიკაში გააქანეს, რომელშიც მკურნალობაც დღეში 650 გირვანქა ღირს. თუმცა საქმე თანხაში როდია — ლონდონის კვირაში 4000-გირვანქიან კლინიკაში გესქოინის ლოთობას ვერაფერი დააკლეს — „მიდოუს" კლინიკა კი იმითაა ცნობილი, რომ იქ მომღერალმა როდ სტიუარტმა მოარჩინა თავისი ვაჟი, მერე კი „როლინგ სტოუნზის" 54 წლის ლოთი გიტარისტი რონი ვუდი განიკურნა.

მაგრამ გაზა სხვაა. გამოსავლის ძიებაში აწ უკვე 35 წელს მოყრილმა ბევრი გზა გაიარა და თითქოს ეშველა კიდეც — ჩინური კლუბის მიერ შეთავაზებულ 400 ათას გირვანქას დაყაბულდა და თამაშიც განაახლა, მაგრამ სამშობლოში ერთი კვირით გამოშვებულმა ისე აიშვა, უკანა რეისი არც გახსენებია.

„ეს ჩემი ბოლო შანსია" — ეს გაზას სიტყვებია, სამშაბათს „ჰითროუში" ნათქვამი. თქვა და ბოთლი მიიყუდა.

**გიგა ძოგახიძე**



ყატარელთა წესი ასეთია: ვინც კი დიადი და ბებერია, ჩალმას ახურავენ

# ტელეკომპანია ალ ჯაზირა წარმოგიდგენთ

## მარიოს სუპერ-შოუ

კაი ტიპი და მობერებული საფეხბურთო გენიოსი მარიო ბასლერი „კაიზერსლაუტერნს" ემშვიდობება — კლუბი და ფეხბურთელი კონტრაქტს აღარ გააგრძელებენ.

სუპერმარიო, ვინაც 18 დეკემბერს 35 წლისა მოიყრება, ფეხბურთელის კარიერის დასრულებას არც „ლაუტერნიდან" წასვლის შემდეგ აპირებს — ერთი-ორი სეზონი კიდევ ვითამაშებო, უთქვამს ბასლერს, რომელსაც მანამდე „ბაიერნში", „ვერდერსა" და „პერტაშიც" უბურთავია, ხოლო ეროვნულ ნაკრებში 30 კეპი მოუხვეჭია.

ლუდის, სიგარეტის, ბანქოსა და ღამის საბაირამო ალაგების მოტრფიალე ბასლერს „კაიზერსლაუტერნი" უმადურად არ მოპყრობია და შესთავაზა, როცა თამაშს თავს დაანებებ, გამოსათხოვარი მატჩი და კლუბში რაიმე თანამდებობა ჩვენზე იყოსო.

მაგრამ სუპერმარიოს ამბავს აქ ვერ დავამთავრებთ — ბასლერი ამჟამად ყატარში იმყოფება და მისი იქაურ ლიგაში თამაში თითქმის გადაწყვეტილია — გერმანელ ვარსკვლავს ერთ-ერთი კლუბის მეპატრონე შეიხი წელიწადში 2 მილიონ ევროს სთავაზობს ყოველგვარი დაქვითვის გარეშე.

„ჩემი ყატარში გადასვლის მოტივაცია ისაა, რომ ამ ქვეყანაში ფეხბურთს პოპულარიზაცია გავუწიო. 2006 წელს აზიური თამაშებია და მსურს ყატარის ფეხბურთს რამეში გამოვადგე" — უთქვამს ბასლერს „ბილდისთვის".

ყატარში შეიხები ფაბრიციო რავანელის, ლორან ბლანისა და შტეფან ეფენბერგის ჩაყვანასაც ცდილობენ. ბასლერს, ცხადია, ყველაზე უფრო ყოფილი ბაიერნელი თანაგუნდელის ყატარში თამაშის პერსპექტივა ხიბლავს: „მე და ეფე გოლფის თამაშითაც შევიქცევთ თავს. კარგად ვიცნობ კლაუდია შტრუნცსაც. ჩვენ ალბათ ერთმანეთის მეზობლად ვიცხოვრებთ".

თქვენ 34 წლის ხართ და შეძლებთ 50 გრადუსიან სიცხეში ფეხბურთის თამაშს?

„ბილდის" ამ შეკითხვას სუპერმარიომ ასე უპასუხა: „რატომაც არა? ჯანმრთელობის მხრივ არანაირი პრობლემა არ მაწუხებს და ვინც მე მიცნობს, ყველამ იცის, რომ სირბილი ყოველთვის შემეძლო. თანაც აქ 45 წუთიანი ვარჯიშებია, ხოლო აგვისტოში, ყველაზე სიცხიან თვეს, დასვენებაა".

ისიც ვთქვათ, რომ ბასლერს კვირაში ერთხელ ახალგაზრდული გუნდის გაწვრთნასაც ავალებენ, რაზეც გერმანელი ამბობს, ერთხელ კი არა, 2-3-ჯერაც გავწვრთნი ჭაბუკებს ყოველგვარი ვალდებულების გარეშეო.

მარიო ყატარში ჭაბუკებს ერთად აპირებს ცხოვრებას. მისი 6 წლის ვაჟი კი იქ გერმანულ სკოლაში ისწავლის.

**დავით თაყართქილაძე**







# ხალხმა თქვა მარადონა

## რას იტყვის მთავრობა?

**ნეაპოლის** საქალაქო საბჭომ იტალიის მთავრობაში თხოვნა აფრინა, უფლება მოგვეცით, ჩვენს „სან პაულოს" სტადიონს სახელი შევუცვალოთ და „დიეგო მარადონა" დავარქვათო.

მოგეხსენებათ, დიეგო არმანდო მარადონა ნეაპოლელთა კერპია, 1987 და 90 წლებში „ნაპოლის" სკუდეტო მოაგებინა, 1989-ში კი უეფას თასი. ხოლო დღეს სამხრეთ იტალიის ერთ დროს დიდი გუნდი სერია B-ში იტანჯება.

ქალაქის საბჭოს ამგვარი გადაწყვეტილება ხალხის სურვილმა განაპირობა. ახლახან ნეაპოლურ გაზეთ „ნაპოლი პიუში" დაიბეჭდა ამგვარი მოთხოვნა, რომელიც ხალხმა აიტაცა და საბჭოს ყურამდეც მიაღწია.

უნდა და, გადაარქვან, რა შუაშია იტალიის მთავრობაო? — იკითხავს იქაური კანონების არმცოდნე კაცი. საქმე ის გახლავთ, რომ იტალიაში მოქმედებს კანონი, რომელიც შენობისთვის თუ ქუჩისთვის ცოცხალი ადამიანის სახელის დარქმევას კრძალავს, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ათი წელი უნდა გავიდეს.

„ვფიქრობ, ხალხის სურვილი უფრო მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია, ვიდრე 76 წლის წინ მიღებული კანონი" — თქვა „ნაპოლი პიუს" რედაქტორმა ჯორჯო გრადონამ.

შეგახსენებთ, რომ „ნაპოლის" ჭაბუკთა გუნდში ამჟამად უმცროსი დიეგო მარადონა თამაშობს, რომლის მამობასაც დიდი დიეგო უარყოფდა, მაგრამ სასამართლომ დაუმტკიცა და ალიმენტის გადახდა დააკისრა.

**კოტე კეკელია**

# თქვენ ფეხბურთის რა ღირსი ხართ...

## ყველა ბაიერნის წინააღმდეგ



ფრანც ბეკენბაუერის „ბაიერნის“ გარეშე–

ჯერ გავიხსენოთ, რა მოხდა. გერმანიის საფეხბურთო ლიგამ გამოქექა, რომ მიუნხენის „ბაიერნს“ მედიამაგნატ „კირხთან“ ცალკე კონტრაქტი ჰქონია გაფორმებული, რომლის წყალობითაც გუნდის სალარო 21 მილიონი ევროთი შეივსო. არადა, მთლიანად ბუნდესლიგის კლუბებს „კირხთან“ საერთო კონტრაქტი აკავშირებდათ, მიუნხენური ბობოლა კი მალულად შეთანხმებია მედიამაგნატს და დიდძალი ფულიც დასტყუა.

მომხდარმა გერმანიის საფეხბურთო ლიგა და ბუნდესლიგელები გააცეცხლა. მათ მიუნხენის „ბაიერნის“ საკადრისად დასჯა მოითხოვეს. დასჯაო? ფრანც ბეკენბაუერისთვის სილის გარტყმა არც ისე იოლია. მიუნხენელებმა საფეხბურთო ლიგის ჩინოვნიკების გასაჩუმებლად ჯარიმის სახით 3 მილიონი ევრო გადაიხადეს, თქვენი ხმა აღარ გავიგოთო. თან დასძინეს, თუ ბევრს გაახურებთ, ბუნდესლიგიდან საერთოდ წავალთ და სერია A-ს ანაც „ალპების“ ლიგას (შვეიცარიისა და ავსტრიის იდეაა) შევუერთდებითო.

მოგვიანებით საფეხბურთო ლიგის წარმომადგენელმა ვერნერ ჰაკმანმა ბოდიში მოიხადა, „ბაიერნი“ ასე მწარედ არ უნდა გაგვეკიცხა, შევცდითო.



-ვერნერ ჰეკმანის ნათავმჯდომარებ საფეხბურთო ლიგას, მხოლოდ ლოგო შერჩება

მიუხედავად ამისა, ფრანკფურტში გამართულ ყრილობას, რომელსაც პირველი და მეორე ბუნდესლიგების 35 კლუბის წარმომადგენელი ესწრებოდა, „ბაიერნის“ თავკაცობამ ბოიკოტი დააზლოებით ასეთი შინაარსის განცხადებით გამოუცხადა: „საფეხბურთო ლიგამ გერმანულ ფეხბურთს მხოლოდ ლოგო შესძინა და სხვა არაფერი გაუკეთებია. იმას, რასაც ადრე 2-3 კაცი აკეთებდა, ახლა 30-მდე ჩინოვნიკი ასრულებს. ამასთან, „ბაიერნი“ ყოველწლიურად ლიგას 600 ათას ევროს ურიცხავს. საქმეს თავკაცობს ხალხი, რომელიც ფეხბურთის გაგებაში არ არის“.

**გაჟა ხუციშვილი**

# დამნგრევისა



ჩვენი დროის ჰეროსტატემ რუდი ფიოლერის სახლს აი, რა დამართა

რუდი ფიოლერმა შარშანწინ ზაფხულს აგარაკის გასალამაზებლად გვარიანად იწვალა. 2001 წლის დეკემბერში აგარაკის სანახავად მისულს სახლი გადაბუგული დახვდა. ზარალი რომ დაითვალეს, დაახლოებით მილიონ 200 ათასი ევრო გამოვიდა.

კიოლნის პოლიციამ არაქართულად იმუშავა და ხანძრის გამჩაღებელს მიაგნო. ძიებამ გამოჩხრიკა, რომ ცეცხლი ერთ-ერთ დურგალს აუგიზგიზებია, რა თქმა უნდა, არა გასათბობად.

დურგალი კონტრაქტით ფიოლერის სახლის რესტავრაციაზე მუშაობდა. სამუშაოს დასრულების შემდეგ დამქირავებლისგან ფული მიიღო. ხელოსანს ჯამაგირი ეცოტავა, მეტი მეკუთვნისო, თუმც მეტი აღარ მისცეს.

გაბრაზებულმა 47 წლის კაცმა შურისძიება გადაწყვიტა და რუდი ფიოლერის აგარაკი ნაცარტუტად აქცია. კიოლნის სასამართლომ დამნაშავეს ორ წელიწად ნახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ბუნდესნაკრების მწვრთნელს, ცხადია, სახლი დაენანა, რადგან შენობა მეცხრამეტე საუკუნეში იყო აგებული.

**გაჟა ხუციშვილი**

# ძროხა რა შუაშია?



ორიოდ კვირის წინ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუმინეთი დანიასთან შინ 2:5 დამარცხდა. რუმინელებს ამ მარცხის შემდეგ „ვიკინგების“ ხსენებაც კი აღარ სურთ. ერთ-ერთ სოფელში კონტრაქტით ათეულობით ჯიშიანი დანიური ძროხა უნდა ჩაეყვანათ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ნახევარიც გადახდილი იყო. მიუხედავად ამისა, სოფლელებმა „ვიკინგი ძროხები“ სასტიკად იუარეს, აქაურ საძოვრებზე დანიელებს არ ვაბალახებთო. სოფელ როშია მონტანას უხუცესმა ვირგილ ნერიცემ ხელები გაასავსავა: „გლეხები ყურს აღარ მიგდებენ. ისლა დაგვრჩენია, ჩვენს ნაკრებს ვუქომაგოთ და ეგებ გაფიცულებზე რუნელთა კარგმა თამაშმა იმოქმედოს“.

**გაჟა ხუციშვილი**

# რა გაცვია? ნადი, გამოიცვალე!

ADIDAS VS NIKE

*გერმანიაში „ადიდასი“ და „ნაიკი“ ერთმანეთს მწარედ დაეჯახნენ. ორი გიგანტის ჭიდილში ჯერჯერობით „ნაიკი“ მძლავრობს, თუმცა „ადიდასს“ ერთი უპირატესობა მაინც აქვს. ეს ფირმა ბუნდესნაკრების სპონსორია.*

გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, ვოლფსბურგელი ტობიას რაუ (მომავალი სეზონიდან „ბაიერნში“ ითამაშებს) ნაკრების ბაზაზე „პუმას“ ფორმაში გამოწყობილი რომ მივიდა, სასწრაფოდ გამოიცვალეო — უბრძანეს. საქმე ისაა, რომ ბოლო 48 წლის განმავლობაში გერმანიის ნაკრები „ადიდასის“ ერთგულია და ამ ერთგულებისთვის ყოველ სეზონში 2 მილიონ 500 ათას ევროს იღებს. კონტრაქტი 2010 წლამდეა ძალაში.

შედარებისთვის: ბრაზილიის ნაკრებმა „ნაიკთან“ ათწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სანაცვლოდ 350 მილიონ ევროს მიიღებს. აი, ერთი ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იშოვო ფული კარგი ფეხბურთის თამაშით.

ტობიას რაუს დავუბრუნდეთ. ვოლფსბურგელი მცველი ერთადერთი არ ყოფილა სანაკრებო ვარჯიშზე, ვისაც ფორმის გამოცვლა მოსთხოვეს. დღეს ახალგაზრდა გერმანელი ფეხბურთელები უმეტესად „ნაიკს“ ეტანებიან. ამერიკულმა კონცერნმა საფეხბურთო ბაზარი დაიპყრო და „ადიდასს“ უკვე ნაკრების 7 ფეხბურთელი დასცინცლა: მაგალითად, კრისტოფ მეცელდერს „ნაიკთან“ სამწლიანი ხელშეკრულება და სანაცვლოდ მიღებული 450 ათასი ევრო აკავშირებს. ან კიდევ მიროსლავ კლოზე, რომელმაც „ნაიკს“ ერთი წლით დაუკავშირა მომავალი და 150 ათას ევროს ჩაიჯიბავს.

სხვათა შორის, მიროსლავ კლოზესთან დაკავშირებით ერთი ამბავი უნდა გავიხსენოთ. როცა „ბაიერნში“ მის გადასვლაზე საუბრობდნენ, „ადიდასისა“ და „ნაიკის“ ურთიერთობის საკითხიც წამოიჭრა. „ბაიერნი“ „ადიდასზეა“ დაქორწინებული, კლოზე კი „ნაიკთანო“. ფეხბურთელის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ეს პრობლემას არ შექმნის და მაგალითად დევიდ ბექემი მოიყვანეს. დევიდ ბექემი „ადიდასის“ ბუცებით დარბის მაშინ, როცა „მანჩესტერ იუნაიტედს“ კონტრაქტი „ნაიკთან“ აქვს გაფორმებული.

სპორტული ფორმების მწარმოებელი ორი ვეშაპის ბრძოლა ბაზრისთვის გრძელდება. „ნაიკი“ აქცენტს ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელებზე აკეთებს — მათზე, ვისაც ასაკის მიუხედავად, უკვე ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს“ — თქვა „ნაიკის“ პრეზიდენტმა გერმანიაში, ოლაფ მარკოფმა.

ამჟამად ამერიკული ფირმა „მიუნხენ 1860“-ის მოთამაშეს ბენიამინ ლაუტს ეკურკურება და ყოველწლიურად 50 ათას ევროს სთავაზობს. გარდა ამისა, „ნაიკმა“ დორტმუნდის „ბორუსიასთან“ ექსკლუზიური კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც „შავ-ყვითლები“ სეზონურად 5 მილიონ ევროს მიიღებენ.

„ადიდასს“ რაღა? გერმანულმა ფირმამ თავის ფორმებით ტორსტენ ფრინგსი, სებასტიან კელი და პაულ ფრაიერი შემოსა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ოლივერ კანი და მიხაელ ბალაკი ყოველ წელს „ადიდასის“ ერთგულების სანაცვლოდ ნახევარ მილიონ ევროს იჯიბავენ.

ბაზრის მკვლევარებმა „ადიდასის“ შანსები „ნაიკთან“ ბრძოლაში სკეპტიკურად შეაფასეს. თავისი საქმიანობის გასაფართოებლად 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე „ადიდასმა“ 50 მილიონი ევრო დახარჯა, „ნაიკმა“ კი ორჯერ მეტი. კიდევ ისაა, რომ სულ უფრო ხშირ-ხშირად ისმის ფეხბურთელთა პრეტენზიები. ბუნდესნაკრების ფეხბურთელებს სანაკრებო თამაშებზე იმ ფირმის ფორმების მორგება სწადიათ, რომელთანაც პირადი კონტრაქტი აკავშირებთ.

**გაჟა ხუციშვილი**



ვინც გინდა იყავი, ბუნდესნაკრებში „ადიდასი“ უნდა გეცვას

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

### გერმანია
### ბუნდესლიგა. XXIX ტური

**19 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ჰანსა-ჰერტა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 002 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 18.30 | 003 | დორტმუნდი-ბაიერნი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 004 | მიუნხენი-ჰამბურგი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 18.30 | 005 | ნიურნბერგი-არმინია | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.30 | 006 | კოტბუსი-მიონხენგლადბახი | 2,45 | 3,4 | 2,45 | 1,42 | 1,22 | 1,42 |
| 18.30 | 007 | ჰანოვერი-კაიზერსლაუტერნი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |

**20 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ლევერკუზენი-შალკე | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 20.30 | 009 | ბოხუმი-შტუტგარტი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXIX ტური

**17 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 010 | სტ.პაული-ფიურტი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 22.00 | 011 | ლიუბეკი-ალენი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 22.00 | 012 | ვალდჰოფი-კარლსრუე | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |

**20 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | ობერჰაუზენი-ბურგჰაუზენი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 18.00 | 014 | ტრიერი-ფრაიბურგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.00 | 015 | ბრაუნშვაიგი-აინტრახტი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 18.00 | 016 | უნიონი-ალემანია | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 18.00 | 017 | როიტლინგენი-კიოლნი | 3,1 | 3,2 | 2,1 | 1,57 | 1,25 | 1,26 |

**21 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 018 | მაინცი-დუისბურგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXVII ტური

**17 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 019 | ვერდერი(მ)-პადერბორნი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

**19 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 020 | კიოლნი(მ)-ჰამბურგი(მ) | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 17.00 | 021 | ქემნიცი-ლევერკუზენი(მ) | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 17.00 | 022 | დინამო-ოსნაბრიუკი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 17.00 | 023 | მიუნსტერი-აუე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.00 | 024 | ესენი-დრეზდენი | 1,1 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,66 |
| 17.00 | 025 | ფერლი-კილი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 17.00 | 026 | ბაბელსბერგი-უერდინგენი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 17.00 | 027 | ვატენშაიდი-დორტმუნდი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXX ტური

**17 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 036 | ვეენი-ბაიერნი(მ) | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტური

**18 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 048 | ტოტენჰემი-სიტი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |

**19 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 049 | ასტონ ვილა-ჩელსი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 19.00 | 050 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 051 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 052 | ევერტონი-ლივერპული | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 053 | ფულემი-ნიუკასლი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 19.00 | 054 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 055 | მანჩესტერი-ბლექბერნი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,7 | | | |
| 19.00 | 056 | მიდლსბრო-არსენალი | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,81 | 1,21 | 1,33 |
| 19.00 | 057 | საუთჰემპტონი-ლიდსი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 058 | სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |

### იტალია. სერია "A". XXIX ტური

**19 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 167 | ბრეშა-ინტერი | 3,6 | 2,9 | 2,1 | 1,6 | 1,32 | 1,21 |
| 18.00 | 168 | კიევო-რეჯინა | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 169 | ლაციო-პიაჩენცა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 18.00 | 170 | მილანი-ემპოლი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 171 | მილანი-ემპოლი 0:1 | 1,7 | 3,1 | 3,3 | | | |
| 18.00 | 172 | მოდენა-ბოლონია | 2,25 | 2,8 | 3,4 | 1,24 | 1,35 | 1,53 |
| 18.00 | 173 | პარმა-ტორინო | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 18.00 | 174 | პერუჯა-ატალანტა | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 18.00 | 175 | უდინეზე-კომო | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.30 | 176 | იუვენტუსი-რომა | 1,8 | 2,9 | 4,8 | 1,11 | 1,3 | 1,8 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXX ტური

**19 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 211 | ვალიადოლიდი-ვალენსია | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| 00.30 | 212 | რეალი-ბარსელონა | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |

**20 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 213 | დეპორტივო-სევილია | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 214 | დეპორტივო-სევილია 0:1 | 2,15 | 3,0 | 2,45 | | | |
| 21.00 | 215 | ესპანიოლი-ბილბაო | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 21.00 | 216 | ოსასუნა-სელტა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 21.00 | 217 | რასინგი-უელვა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 21.00 | 218 | ალავესი-მალაგა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 20.00 | 219 | ვილიარეალი-მალიორკა | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 220 | ბეტისი-ატლეტიკო | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.30 | 221 | სოსიედადი-რაიო | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 222 | სოსიედადი-რაიო 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XXXII ტური

**19 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 223 | ალმერია-ლას პალმასი | 2,5 | 2,7 | 3,0 | 1,29 | 1,36 | 1,42 |

**20 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14.30 | 224 | ხეტაფე-ტერასა | 2,15 | 2,6 | 4,0 | 1,17 | 1,39 | 1,57 |
| 15.00 | 225 | ლევანტე-ლეგანესი | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 20.00 | 226 | ფეროლი-ელჩე | 2,35 | 2,7 | 3,3 | 1,25 | 1,37 | 1,48 |
| 21.00 | 227 | კომპოსტელა-ნუმანსია | 2,2 | 2,6 | 3,8 | 1,19 | 1,39 | 1,54 |
| 21.00 | 228 | ოვიედო-ბადახოსი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 21.00 | 229 | სალამანკა-ეხიდო | 2,25 | 2,6 | 3,6 | 1,2 | 1,38 | 1,5 |
| 21.00 | 230 | კორდობა-ალბასეტე | 3,0 | 2,7 | 2,5 | 1,42 | 1,36 | 1,29 |
| 22.00 | 231 | სარაგოსა-ეიბარი | 1,55 | 3,2 | 7,5 | 1,04 | 1,28 | 2,24 |
| 23.00 | 232 | ტენერიფე-სერესი | 2,05 | 2,8 | 4,0 | 1,18 | 1,35 | 1,64 |
| 23.00 | 233 | მურსია-სპორტინგი | 1,65 | 3,0 | 6,5 | 1,06 | 1,31 | 2,05 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXIV ტური

**19 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 234 | აიაჩო-ბორდო | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 23.00 | 235 | სოშო-გენგამი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 236 | ოსერი-ლე ავრი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 23.00 | 237 | ლიონი-ლილი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 238 | ლიონი-ლილი 0:1 | 1,95 | 3,1 | 2,7 | | | |
| 23.00 | 239 | ბასტია-მონპელიე | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 23.00 | 240 | რენი-ნიცა | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 23.00 | 241 | ნანტი-პსჟ | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 242 | სედანი-ტრუა | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |

**20 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 243 | მონაკო-სტრასბური | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 244 | მონაკო-სტრასბური 0:1 | 1,95 | 3,1 | 2,7 | | | |
| 23.45 | 245 | ლანსი-მარსელი | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXIV ტური

**18 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 246 | ტულუზი-გრენობლი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 247 | ტულუზი-გრენობლი 0:1 | 2,15 | 3,1 | 2,4 | | | |

**19 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 248 | ბოვე-კრეტეი | 2,1 | 2,9 | 3,6 | 1,21 | 1,32 | 1,6 |
| 23.00 | 249 | ისტრი-ამიენი | 2,05 | 2,9 | 3,8 | 1,2 | 1,33 | 1,64 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 250 | ლე მანი-შატორუ | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 23.00 | 251 | ლორიანი-გენიონი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 23.00 | 252 | მეცი-ლავალი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 253 | მეცი-ლავალი 0:1 | 2,15 | 3,1 | 2,4 | | | |
| 23.00 | 254 | ნიორი-კაენი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 23.00 | 255 | რეიმსი-კლერმონი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 23.00 | 256 | სტ.ეტიენი-ნანსი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 257 | ვასკვალი-ვალანსი | 2,15 | 2,8 | 3,6 | 1,21 | 1,34 | 1,57 |

**პორტუგალია. I ლიგა. XXVIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 258 | ლეირია-ფერეირა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 01.00 | 259 | ჟილ ვისენტე-ბოავიშტა | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 260 | ბეირა მარი-ბრაგა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 20.00 | 261 | სეტუბალი-აკადემიკა | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 22.00 | 262 | პორტუ-მორეირენსე | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 263 | პორტუ-მორეირენსე 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.30 | 264 | ნასიონალი-სანტა კლარა | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 01.15 | 265 | მარიტიმუ-სპორტინგი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 22.45 | 266 | გიმარაეში-ბელენენსეში | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 01.00 | 267 | ბენფიკა-ვარზიმი | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| | 268 | ბენფიკა-ვარზიმი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |

**პორტუგალია. II ლიგა. XXVIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 269 | ნავალი-შავეში | 1,95 | 2,8 | 4,4 | 1,14 | 1,35 | 1,71 |
| 20.00 | 270 | ალვერკა-ფარენსე | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 20.00 | 271 | ავეში-სალგეირუში | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 20.00 | 272 | კოვილია-ამადორა | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 20.00 | 273 | რიუ ავე-მაია | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 274 | რიუ ავე-მაია 0:1 | 2,1 | 3,1 | 2,45 | | | |
| 20.00 | 275 | მარკუ-ფელგეირაში | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 276 | ლეცა-პორტიმონენსე | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 20.00 | 277 | პენაფიელი-მადეირა | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. XXVIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 278 | უტრეხტი-ვალვაიკი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 279 | აიაქსი-როდა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 280 | აიაქსი-როდა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 22.30 | 281 | ტილბურგი-გრააფსხაპი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 282 | ტილბურგი-გრააფსხაპი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 22.30 | 283 | პსვ-ტვენტე | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 284 | პსვ-ტვენტე 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 22.30 | 285 | როზენდალი-ალკმაარი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 22.30 | 286 | ექსელსიორი-ჰერენვენი | 3,3 | 3,4 | 2,0 | 1,67 | 1,24 | 1,25 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 287 | ვიტესი-ნაიმეგენი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 17.30 | 288 | ზვოლე-ფეიენოორდი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 17.30 | 289 | გრონინგენი-ბრედა | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |

**ბელგია. I დივიზიონი. XXIX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 302 | გენკი-ბრიუგე | 3,1 | 3,4 | 2,1 | 1,62 | 1,25 | 1,29 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 303 | გენტი-ლუვენი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 23.00 | 304 | მონსი-ლიერსი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.00 | 305 | ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 306 | ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 307 | სტანდარდი-ბევერენი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.00 | 308 | მუსკრონი-ბეერსხოტი | 1,7 | 3,6 | 4,2 | 1,15 | 1,21 | 1,93 |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 309 | შარლერუა-ლოკერენი | 3,4 | 3,5 | 1,9 | 1,72 | 1,21 | 1,23 |

**ჩეხეთი. XXIV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 17.25 | 334 | პრჟიბრამი-სპარტა | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 13.15 | 335 | ჟიჟკოვი-ბუდეიოვიცე | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.30 | 336 | იაბლონეცი-სიგმა | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 19.30 | 337 | ზლინი-ბოჰემიანსი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.30 | 338 | ბანიკი-ლიბერეცი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 19.30 | 339 | ჰ.კრალოვე-ტეპლიცე | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 19.30 | 340 | ბლშანი-ბრნო | 2,05 | 3,0 | 3,5 | 1,21 | 1,29 | 1,61 |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 19.40 | 341 | სლავია-სინოტი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 342 | სლავია-სინოტი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |

**პოლონეთი. XXII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 343 | ოდრა-ლეგია | 2,9 | 3,0 | 2,4 | 1,47 | 1,31 | 1,33 |
| 19.00 | 344 | ვისლა-გურნიკი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1.13 | 3,04 |
| | 345 | ვისლა-გურნიკი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 19.00 | 346 | პლოცკი-რუხი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 19.00 | 347 | პოლონია-ზაგლებე | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 348 | ვიძევი-გარბარნია | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 21.15 | 349 | კატოვიცე-გროცლინი | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |
| 21.15 | 350 | ამიკა-ლეხი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 364 | პართსი-სელტიკი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |

**დანია. XXIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 386 | ბრიონდბიუ-კიოგე | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 387 | ბრიონდბიუ-კიოგე 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 388 | ოდენსე-ფარუმი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.00 | 389 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 18.00 | 390 | ვიბორგი-მიდტიულანდი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 20.35 | 391 | აკადემისკი-ესბიერგი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. VII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 21.30 | 408 | სერვეტი-თუნი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 18.45 | 409 | ბაზელი-იანგ ბოიზი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 410 | ბაზელი-იანგ ბოიზი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 19.15 | 411 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. VII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 412 | სიონი-ლუცერნი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 19.15 | 413 | კრიენსი-დელემონი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.15 | 414 | სტ.გალენი-აარაუ | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. VII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 415 | ვინტერთური-ბელინცონა | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 23.00 | 416 | ივერდონი-კონკორდია | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 417 | ბადენი-შაფჰაუზენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.30 | 418 | ვოლენი-ლოზანა | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |

**შოტლანდია. თასი**
**½ ფინალი. (ნეიტრალურზე)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 462 | რეინჯერსი-მოზერუელი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 463 | ინვერნესი-დანდი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |

**ლიბერტადორესის თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 04.10 | 473 | რივერ პლეიტი-ემელეკი | 1,3 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,66 |
| 04.10 | 474 | ლიბერტადი-დეპორტივო კალი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

**ჰოკეი. გერმანია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 603 | კიოლნი-კრეფელდი | 1,9 | 4,2 | 2,7 | 1,3 | 1,11 | 1,6 |

# ფორმულა 1. სან მარინო. 19 აპრილი (23.45)

| 4001 გამარჯვებული | სამეული | მექვსეული | 4002 უსწრ. წრე | 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი --------- 2,0 | 4101 -------- 1,2 | 4201 --- 1,07 | 2,0 | | |
| ბარიკელო ---------- 4,4 | 4102 -------- 1,5 | 4202 ----- 1,2 | 4,0 | | |
| რაიკონენი ---------- 5,5 | 4103 -------- 1,6 | 4203 --- 1,25 | 5,0 | ფერარი | 1,4 |
| კულტჰარდი ------- 5,5 | 4104 -------- 1,6 | 4204 --- 1,25 | 7,0 | მაკლარენი | 3,0 |
| მონტოია ------------ 8,0 | 4105 -------- 2,5 | 4205 --- 1,25 | 3,2 | უილიამსი | 6,0 |
| რ.შუმახერი ------- 12,0 | 4106 -------- 3,0 | 4206 --- 1,25 | 10,0 | რენო | 15,0 |
| ალონსო ----------- 30,0 | 4107 -------- 5,0 | 4207 ----- 1,7 | 30,0 | ზაუბერი | 30,0 |
| ტრული ------------ 30,0 | 4108 -------- 5,0 | 4208 ----- 1,7 | 30,0 | ბარ | 30,0 |
| ბატონი ------------- 75,0 | 4109 ------- 15,0 | 4209 ----- 3,0 | 100,0 | ტოიოტა | 50,0 |
| ფრენცენი --------- 75,0 | 4110 ------- 15,0 | 4210 ----- 3,0 | 100,0 | ჯორდანი | 50,0 |
| ჰაიდფელდი ------- 75,0 | 4111 ------- 15,0 | 4211 ----- 3,0 | 100,0 | იაგუარი | 75,0 |
| ვილნევი ----------- 75,0 | 4112 ------- 15,0 | 4212 ----- 3,0 | 100,0 | მინარდი | 100,0 |
| ფიზიკელა --------- 75,0 | 4113 ------- 15,0 | 4213 ----- 3,0 | 100,0 | | |
| პანისი -------------- 75,0 | 4114 ------- 15,0 | 4214 ----- 3,0 | 100,0 | | |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიდომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1° კორპუსი

**კროკოს შემენზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00–21.30**
**კვირა 12.00–20.30**

სარბიელი

## სპორტული ლატარია

CROCO
BOOKMAKERS
**კროკო**

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1° კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

# ნადალმა გვარზე არ იხტუნა

## რა დაატყო კარლოსმა რაფაელს სასკორავზე



ესპანელებს ერთი ვარსკვლავიც ეზრდებათ, რაფაელ ნადალი

**TENNIS MASTERS MONTE CARLO**
**თიხნარი**
**საპრიზო 2,45 მილიონი ევრო**

**პირველი წრე**

**კარლოს მოია** (2, ესპანეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3, 6:3; **ალბერტ კოსტა** (4, ესპანეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:2, 6:2; **ირჟი ნოვაკი** (5, ჩეხეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 6:4; **პარადორნ შრიჩაფანი** (7, ტაილანდი) — პიტერ ლუშაკი (ავსტრალია) 7:5, 3:6, 7:6 (7:4); **სხენგ შალკენი** (9, ჰოლანდია) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:4, 3:1 სანგვინეტიმ შეწყვიტა; **ევგენი კაფელნიკოვი** (რუსეთი) — იუნეს ელ აინაუი (11, მაროკო) 6:2, 6:7 (4:7), 6:1; **ჯეიმს ბლეიკი** (15, აშშ) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3, 3:6, 6:2; **ტომი რობრედო** (16, ესპანეთი) — მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) 3:6, 6:3, 6:4; **გილერმო კორია** (არგენტინა) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:2, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:4, 6:1; **ჟულიენ ბუტე** (საფრანგეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:6 (8:6), 3:6, 6:3; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — რაიმონ სლოიტერი (ჰოლანდია) 3:6, 6:1, 7:6 (7:1); **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:1, 6:2; **უეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 2:6, 7:5; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხრეთ კორეა) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:1, 6:3; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ტეილორ დენტი (აშშ) 7:6 (7:3), 6:2

შარშანდელი ჩემპიონისა და წლეულს პირველ ნომრად განთესილი ხუან კარლოს ფერეროს კვალად მეორე წრეში კიდევ ორმა ბობოლა ესპანელმაც შეალაჯა. შარშანდელ ფინალში ფერეროსგან ძლეულმა კარლოს მოიამ ბელგიელ ქსავიე მალისს აჯობა, 2002 წლის როლან გაროსის ამკლებმა ალ კოსტამ კი ნიკოლაი დავიდენკო, გასულ კვირას ემტორილში ნაპირველარი რუსბიჭი შემუსრა.

მოია მონტე-კარლოს 1998 წლის ჩემპიონია, წლეულს კი თიხნარზე უკვე 12 შეხვედრა გაუმართავს და აქედან მხოლოდ ერთხელ დამარცხებულა. რაც შეეხება კოსტას, იგი იქ მეათედ გამოდის და საუკეთესო იქაურ შედეგად 1996 წლის ფინალში გასვლა დაეკვეხება.

ნამატჩევს კოსტას მონტეკარლოური საჩოგნეთის 75-წლისადმი მიძღვნილი უვეებესი ტორტის გაჭრა და ჰარი-ჰარალოდ წალადავება მოუხდა.

ერთ-ერთი ჟურნალისტი მისი ამჟამინდელი ფორმითა და საამროლანგაროსო შანსებით დაინტერესდა, რაზეც ესპანელმა ასე მიუგო:

„ყველაფერი ძალიან კარგადაა, წინ კიდევ რამდენიმე რიგიანი ტურნირია და იმედი მაქვს, ამ ტურნირების მერე ყველაფერი კიდევ უფრო კარგად იქნება."

გუშინ კოსტა 16 წლის თვისტომ რაფაელ ნადალს უნდა შეხლოდა. ამ ბიჭმა იმ დღეს თავისი უწლოვანი კარიერის მეორე სა-ATP-ო მატჩში სლოვაკი კაროლ კუჩერა გაანადგურა და უმალ მილეთის სეფესაჭორაო თემად იქცა.

ჭაბუკი რაფაელი მალიორკელია და ცნობილ ბარსელონელ ფეხბურთელს, მიგელ ანხელ ნადალს ძმისშვილად მოუდის. როგორც ჯიშად მეთიხნარე, ისიც ნაუკანახაზევი ლაწა-ლუწის „ალმსარებელია", მაგრამ ეს ისე შაბაშად გამოსდის, რომ შესარჩევ შეხვედრებში მეტოქეებს მხოლოდ რვა გეიმი დაუთმო.

თავადაც მალიორკელი კარლოს მოია თვლის, რომ ორიოდ წლის მერე ამ ხათქუნა ბიჭს კაცთა ზეათეულში ვიხილავთ. ენახოთ — დრო გამოაჩენს, მოიას პატრიოტიზმი ალაპარაკებდა თუ სასკორავის მიხედვით ხარის ღირსებათა ამოცნობის უნარი.

მონტე-კარლოში კი ნადალს ჯერ მისკბილა ფრანგ ბიჭს, რიშარ გასკეს ადარებენ, რომელიც — ეგებ თქვენც გახსოვდეთ და — შარშან 15 წლისა და 10 თვის იყო, იქვე რაგინდარა მასტერსმატჩის ყველაზე მრწემი გამარჯვებული რომ შეიქნა.

სხვაფრივ:

მეშვიდე ნომრად განთესილ პარადორნ შრიჩაფანს უსახელო ავსტრალიელ ლუშაკის დასამარცხებლად მესამე სეტის მეცხრე სეტში მატჩბურთის მოგერიებაც კი მოუხდა.

საკმაოდ დაშვრა რუსი კაფელნიკოვიც, მაგრამ გასულ კვირას კასაბლანკურ ფინალში წაფორხილებულ ელ აინაუისა და კორტზე მქროლავ ოინბაზ ქარს მაინც მოერია.

თიხნარის მოძულე ამერიკელთაგან საპირველწრეო მკას მხოლოდ ჯეიმს ბლეიკი გადაურჩა. მაგრამ დიდხანს გამძლები ჩოგანი არც მას უნდა ეჭიროს.

ადგილობრივ ქომაგებს კი დასტურ აამეს ჟულიენებმა — 29 წლის ბუტემა და 21 წლის ბენეტომ. პირველმა ზორბა ბელარუსი მირნი დაჩოგნა, მეორემ კი — ჰოლანდიელი სლოიტერი.

**BAUSCH &LOMB CHAMPIONSHIPS**
**ამელია აილენდი. თიხნარი**
**საპრიზო 585 ათასი .$**

**მეორე წრე**

**ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:1, 6:0; **ჯენიფერ კაპრიატი** (3, აშშ) — მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 6:4, 7:6 (7:5); **დანიელა ჰანტუხოვა** (4, სლოვაკეთი) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 7:5, 6:2; **ამანდა კუცერი** (8, სამხრეთ აფრიკა) — ვერა ზვონარევა (რუსეთი) 7:5, 4:6, 6:0; **ლიზა რეიმონდი** (12, აშშ) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 6:1, 3:6, 6:1; **კლარისა ფერნანდესი** (14, არგენტინა) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:7 (6:8), 6:4, 6:2; **ალექსანდრა სტივენსონი** (16, აშშ) — ელს კალენსი (ბელგია) 7:5, 6:3

ეს ტურნირი შავდა უილიამსების გარეშე ჩაივლის და წინა კვირას ჩარლსტონთიხნარულ ფინალში სერენას მძლეველი ჟუსტინ ენენ-არდენი უმთავრეს მოცილეებად იქ შებიძმოდებულ ამერიკელებს — დევენპორტს, კაპრიატისა და სელეშს მოიძევს.

ამათგან იმ დღეს მხოლოდ ლინდსიმა და ჯენიმ ითამაშეს. პირველმა ავსტრალიელ პრატს გადაუარა, მეორე კი შვეიცარიელ მიქაელიანს ეჭიდავა...

ამასობაში გაირკვა, რომ ამქრის ღედამძუძე სერენამ 5 მაისს დასაწყებ ბერლინურ ტურნირზე ჩასვლა თუარა და განაცხადა, რომ ევროპულ თიხნარზე მხოლოდ 12 მაისიდან აჯილდგინდება. ამ დღეს ბერლინში ნაჩოგნავები გოგოშკები რომაულ ჭაპანწყვეტას უნდა შეუდგნენ.

**ლევან კელაურაძე**



უეინ ფერეირას ამქარი იხრდება



ლეიტონ ჰიუიტი ჩოგბურთის მამებთან შერიგებას არ აპირებს

# ფერეირას ჰიუიტი სჭირდება და არა მისი უსიამოვნებები

## პირველმეჩოგნე მახვშებს სასამართლოთი ემუქრება

**სამხრეთ აფრიკელი** უეინ ფერეირა — კაცთა ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციის (IMTA) მთავარმეამბოხე აცხადებს, რომ მათმა ორგანიზაციამ უკვე 58 მეჩოგნეს მოუყარა თავი.

„ორი ამდენი კიდევ ზღურბლთან დგას თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მათ მეტი ინფორმაცია სჭირდებათ."

ფერეირას მიხედვით, განდგომილთა შორის ზეათეულის ოთხი წარმომადგენელია და მათ ამქრის უსტაბაში, ლეიტონ ჰიუიტი მოთავეობს.

„ის, რომ ლეიტონი ასოციაციის წევრია, ჩვენ ძალიან გვეხმარება, მაგრამ ATP-სთან რომ პრობლემები აქვს, ეგ კი აღარ მოგვწონს" — ამბობს ფერეირა.

შეგახსენებთ, რომ ჰიუიტსა და ATP-ელ მამებს შორის ურთიერთობა შარშან, ცინცინატური მასტერსტურნირის შემდეგ დაიძაბა. ჭირვეული ოზბიჭი იქ ერთ-ერთ წინასამატჩო ტელეინტერვიუზე არ გამოცხადდა, რის გამოც ორგანიზაციამ ის 106 ათასი დოლარით დააჯარიმა.

ჰიუიტმა ATP-ს საქმის ხელახლა განხილვა მოსთხოვა, რომლის მერეც საჯარიმო თანხამ 20 ათას დოლარამდე დაიკლო.

ოზი მეჩოგნე არც ამ თანხის გადახდას დაჰყაბულებია და ამ კვირაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ATP-ის მისი „რეპუტაციის განზრახ შებღალვის გამო" სასამართლოში ჩივილითაც დაემუქრა.

თუკი ATP ჰიუიტზე დაკისრებულ ჯარიმას არ გააუქმებს, პირველმეჩოგნის ადვოკატები სარჩელს სამხრეთ ავსტრალიის უზენაესი სასამართლოში შეიტანენ და კაცთა ჩოგბურთის მახვშებს საქმის წაგების შემთხვევაში 1,5 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევთ.

„მთელ ამ ამბავში ფული არაფერს ნიშნავს — უთქვამს მეჩოგნის მამას, გლენ ჰიუიტს — ყველამ უნდა გაიგოს, რომ საქმე მხოლოდ ჩემი ბიჭის ღირსებასა და სახელს ეხება."

თავად ლეიტონი აცხადებს, რომ ATP-მ დაარღვია მასთან დადებული კონტრაქტი და „განზრახ და უსამართლოდ ჩაერია მის პირად ბიზნესსაქმეებში."

ამბობენ, რომ სწორედ ATP-ისთან აწეწილ ურთიერთობა გამო უნდა ეუარა მას საამკვირაოდ მონტე-კარლოურ, ხოლო ნამონტეკარლოევს ბარსელონურ თიხნარტურნირებზე გაჩოგნავება.

თუმცა ჰიუიტის წარმომადგენლები მიზეზებად სხვა რამეს ასახელებენ — მონტე-კარლოში ის თურმე იმიტომ არ ჩასულა, რომ ეს ტურნირი განრიგში საერთოდ არ ჰქონია, ბარსელონაში ჩასვლა კი მას ვითომ დასტაქრებმა აუკრძალეს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, IMTA-ს მთელი ეს ამბები დიდად არ ეპიტნავება.

ფერეირა ამბობს, რომ მათი ასოციაცია ATP-სთან საბულრაოდ სულაც არ შექმნილა.

„ჩვენი უმთავრესი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ მეჩოგნეთა სიტყვას ფასი დასდებოდა. თორემ ATP-ის სტრუქტურას ჩვენ არაფერს ვერჩით. ამ თვალსაზრისით იქ ყველაფერი რიგზეა."

ფერეირა კმაყოფილია იმ გარემოებით, რომ მათი ასოციაციის ჩამოყალიბების შემდეგ ATP გაცილებით მეტს აკეთებს მოთამაშეებისთვის.

კითხვაზე, მხარს უჭერს თუ არა იგი ჰიუიტს მის ანტი-ATP-ურ დემარშებში, ფერეირამ თქვა, რომ კარგი იქნებოდა, თავიანთ ურთიერთობებს პირველმეჩოგნე და ორგანიზაცია სასამართლოს გარეშე თუ მოაგვარებდნენ.

„ვფიქრობ, რომ ლეიტონი მიჰქარავს. უფრო სწორედ — ლეიტონიც მიჰქარავს და ATP-იც. ჩვენს საერთო საქმეს მათი დავა არაფერში არგია."

# ჩოგბურთის ფეს-ისტორია

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ძალისხმევით გამოიცა ჩოგბურთისადმი მიძღვნილი თიოქმის ორასგვერდიანი წიგნი, რომლის ავტორიც გახლავთ 50-60-იანი წლების ცნობილი მეჩოგნე, შემდგომში კი ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ელადიმერ გოგლიძე.

წიგნში მოთხრობილია ჩოგბურთის წარსულზე და მსოფლიოს წამყვან ისტატებზე ავტორი განსაკუთრებული ხოთბოთი მოგვითხრობს საქართველოში სპორტის ამ სახეობის საუკუნოვან ისტორიას, ჩამოთვლილია ყველა მოთამაშე და მწვრთნელი, რომლებსაც მეტნაკლები კვალი დატოვეს ჩვენში ჩოგბურთის განვითარებაში. მოყვანილია მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატებში — დევისის თასისა და ფედერაციის თასის გათამაშებაში საქართველოს ვაჟთა და ქალთა ნაკრებების ყველა მატჩის სტატისტიკური მონაცემები.

აქვე მოყვანილია თამაშის წესებიც და ინგლისურ-ქართული სახოგბურთო ტერმინოლოგია ქართული შესატყვისებით.

წიგნი უხვადაა დასურათებული მათ შორის ბევრი უნიკალური ფოტოა.





*ევროპაში გაბნეულ ქართველებს სწორედაც დაეკვეხნებათ — ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია" რომ სლოვენიის ჩემპიონობას არ დათმობს, ეჭვი არავის ეპარება, ზაზა ფაჩულიას „ულქერი" და მანუჩარ მარკოიშვილის „ბენეტონი" ჩემპიონობის რეალური კანდიდატები არიან თავ-თავიან ქვეყნებში, ისევე როგორც ვახტანგ ნაცვლიშვილის „ოლივეირენშე" პორტუგალიაში. ეს კალათბურთელები, ეროვნული ნაკრებისთვის დიდი ძალაა, მაგრამ არანაკლებ სოლიდური ძალა გვეგულება ოკეანგაღმა, ოღონდ ეგაა, გადაჭრით ჯერ ვერავინ იტყვის, მაიამელი ვლადიმერ სტეფანია და დენვერელი ნიკა ცქიტიშვილი საქართველოს ნაკრებს ევროშესარჩევ მატჩებში დაეხმარებიანო. ამ საკითხთან დაკავშირებით ყველას საკუთარი აზრი გააჩნია. ცხადია, საინტერესოა, რას ფიქრობს ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომელსაც გუშინ პორტუგალიაში შევეხმიანეთ და ძირითადად ეროვნული გუნდის პრობლემატიკაზე ვესაუბრეთ...*

# გაგვიყვანს ფიბა ევროჩემპიონატზე?

## ვახტანგ ნაცვლიშვილმა ნაკრების მომავალი გამოთვალა

— ცხადია, შეიტყობდი, რომ ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი დაუნიშნეს...

— დრაგან ბრაიკოვიჩს არ ვიცნობ და ამიტომაც მასზე ვერაფერს ვიტყვი. თავად ის, რომ ნაკრებს უცხოელი სპეციალისტი გაწვრთნის, ულავოდ მისასალმებელია. ქართველმა მწვრთნელებმა ხომ უკვე გვიჩვენეს თავიანთი შესაძლებლობები. ყველას, ვისაც კი ამბიცია ჰქონდა, შანსი მიეცა, მაგრამ ამით რა ხეირი? ვნახოთ, რა გამოუვა უცხოელს. ისე კი, თუ ნაკრები სრულად ვერ შეიკრიბა, ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს მწვრთნელის ეროვნებას, წარმატების მიღწევა კვლავ გაგვიჭირდება.

— ბრაიკოვიჩი ნბა-ში მოთამაშე ქართველების ჩამოყვანასაც დაგვპირდა. მან თქვა, რომ ეს პრობლემა მხოლოდ ფედერაციის მოსაგვარებელი არ არის, ამისათვის მე პირადად ვიზრუნებო...

— ეს საკითხი ასე იოლად გადასაწყვეტი არ არის. ოთხი წელია, სტეფანიას ნაკრებში ჩამოყვანას ვცდილობთ და ვერ მოგვიხერხებია. ბოლო საკვალიფიკაციო მატჩებისასაც თითქოს ყველაფერი კარგად იყო, ვოვას ბულგარეთში ველოდით, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ნბა-ს მოთამაშე რომ ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ წამოვიდეს, მხოლოდ ორი მხარეს სურვილი არ კმარა. ამერიკაში მილიონიანი კონტრაქტებია და კალათბურთელების ჩამოსაყვანადაც ლიდძალი სადაზღვევო თანხაა საჭირო. აქვს საქართველოს კალათბურთის ფედერაციას ამის შესაძლებლობა?

**— როგორც ფედერაციაში ამბობენ, ამისთვისაც მზად არიან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფიბა ევროპის 2005 წლის შესარჩევი ტურნირის ზაფხულში ჩატარებას აპირებს, ნბა-ელების ჩამოყვანა მართლაც რეალური ჩანს. ამ დროს ხომ ნბა-ში დასვენებაა...**

— თუ ასე მოხდა, ხომ კარგი, მაგრამ რაღაც არა მგონია, ფიბა-მ საბოლოოდ დაამტკიცოს ეგ პროექტი, და აი, რატომ: რამდენი ევროპელი თამაშობს ნბა-ში? ჰა-ჰა — 30. მათი უმრავლესობა იმ ქვეყნებიდანაა, რომლებსაც შესარჩევ ეტაპზე არ სჭირდებათ ამერიკაში მოთამაშეების დახმარება. ფინალური ეტაპისთვის კი იუგოსლავიას, თურქეთს, ესპანეთს, სლოვენიას, საფრანგეთსა და გერმანიას, ისედაც დაემატებიან ნბა-ელები. მაშ, რა გამოდის, ცქიტიშვილის, სტეფანიასა და კიდევ ერთი-ორი მაკედონიელისთვის თუ ბოსნიელისთვის არავინ შეცვლის აქამდე არსებულ ფორმატს. ამაზე უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ თუ ზაფხულში გადაწყდა შესარჩევი ტურნირის ჩატარება, კალათბურთელები ფაქტობრივად შვებულების გარეშე რჩებიან. ევროპის უმეტეს ქვეყანაში სეზონი სექტემბერში იწყება და ივნისამდე გრძელდება, რჩება ორი თვე, ივლის-აგვისტო და ამ მცირე დროში აპირებენ მთელი შესარჩევი ციკლის მოლევას? ეს არარეალურია. ასეც რომ მოხდეს, რა აზრი აქვს, სეზონის მანძილზე გადაღლილ კალათბურთელებს დასვენების მაგივრად შესარჩევი მატჩების ჩატარება მოუწევთ. ასეთ დატვირთვას ვერავინ გაუძლებს.

**— ესე იგი, ყველაფერი ძველებურად დარჩება?**

— მე არ მინდა, რომ დარჩეს, მაგრამ ყველაფერი ამ სიახლის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. წლეულს ზაზა ფაჩულიაც აპირებს ნბა-ში წასვლას, შესაძლოა, ბოისაც ოკეანეს გაღმა გადავიდეს და ვიღა დარჩება ბრაიკოვიჩს? საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშეები და თითოოროლა ევროლეგიონერი. მართლა თავად ხომ ვერ გავა მოედანზე.

**— გამოდის, საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლა-არგასვლა მთლიანად ფიბა-ს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული?**

— ასეა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენთვის სასურველ გადაწყვეტილებას მიიღებენ. ისე, უკვე გითხარით, რომ მე ამის არ მჯერა.

**— შენი ამბები როგორღაა? პორტუგალიაში მალე რეგულარული ჩემპიონატი დასრულდება...**

— ჩემი გუნდი, „ოლივეირენშე" პირველ ადგილზეა. პლეი ოფებამდე 3 ტურია დარჩენილი, სულ აუტსაიდერებს ვხვდებით და 2 მატჩიც რომ მოვიგოთ, პირველ ადგილს ვინაღდებთ. ალბათ ასეც მოხდება და საპლეიოფო მატჩებში ნებისმიერ მეტოქესთან საკუთარი მოედნის უპირატესობა გვექნება.

**— აუტსაიდერებს ვეთამაშებით და ალბათ, დავამარცხებთო, ამბობ. უკანასკნელ ტურში განა მაჩანჩალამ არ დაგამარცხათ?**

— „ბარეირენშესთან" ძირითადი ცენტრი გვაკლდა. მატჩის დასაწყისში მეც მცირე ტრავმა მივიღე და მწვრთნელმა აღარ მათამაშა. ისე გამოვიდა, თითქოს უარი ვთქვით გამარჯვებაზე. ამ თამაშის მოგება ნაღდად არ ღირდა იმად, რომ ნატკენი ფეხით მეთამაშა და ტრავმა კიდევ უფრო გამემწვავებინა. მთავარი ბრძოლები ხომ პლეი ოფში გველის და მწვრთნელიც მაქსიმალურად გვიფრთხილდება გუნდის ლიდერებს.

**— რამდენად რეალურია, რომ პორტუგალიის ჩემპიონი გახდე?**

— გეცოდინება, შარშან ეს ვერ მოვახერხე, ფინალში დავმარცხდით. მაშინ ძირითადად 6 კალათბურთელი ვთამაშობდით და მომქანცველი სეზონის ბოლოს გადამწყვეტი მატჩებისთვის ძალა აღარ შეგვრჩა. ახლა სხვა ვითარებაა, „ოლივეირენშეს" გრძელი სათადარიგო სკამი ჰყავს და ძალების მობილიზებით მივდივართ საჩემპიონო მატჩებისკენ.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანიას სეზონი არ დაამთავრებინეს

## პატ რაილი მოგებისთვის გაიწირა

15 აპრილი

**ტორონტო 99:103 მაიამი**

**ტორონტო:** ალსტონი (19), პეტერსონი (33), ჯეფერსი (11), ჯ. უილიამსი (10 ქულა, 17 მოხსნა), ნდაიე (11); ბრედლი (8), მაკკოი (7)

**მაიამი:** კარტერი (2), რ. ბატლერი (19), კ. ბატლერი (7), ალენი (11), გრანტი; ჯეიმსი (15), ელისი (13), ჯონსონი (8), სტეფანია (6 წუთი, 8 ქულა, 3 მოხსნა), ლემპლი (7), ბეჰტი (7), პაუსი (6)

**ლეიკერსი 126:104 დენვერი**

**ლეიკერსი:** ფიშერი (5), ბრაიანტი (32), ფოქსი (11), მადსენი (9), ონილი (19); პარგო (18), მედვედენკო (8), რაში (7), ჰორი (6), ჯორჯი (6), შოუ (3), უოლკერი (2)

**დენვერი:** უილიამსი (15 ქულა, 10 პასი), იარბრო (9), ვაიტი (10), ჰოვარდი (19), კემბი (17 ქულა, 14 მოხსნა); **ცქიტიშვილი (36 წუთი, 11 ქულა, 5 პასი, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა)**, ილარიო (7), ანდერსენი (6), ტრეპაჯნერი (5), ა. ჰარინგტონი (5), ლ. ჰარინგტონი

**პორტლენდი 120:102 ფინიქსი**

**პორტლენდი:** რენდოლფი (27)

**ფინიქსი:** ჯონსონი (26)

**ჩიკაგო 115:106 ფილადელფია**

**ჩიკაგო:** კროუფორდი (33), კარი (31)

**ფილადელფია:** აივერსონი (42)

**ჰიუსტონი 97:86 მემფისი**

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (19)

**მემფისი:** ბეტიე (15)

**ნიუ იორკი 93:109 ინდიანა**

**ნიუ იორკი:** ანდერსონი (13)

**ინდიანა:** არტესტი (23), ონილი (23)

ვლადიმერ სტეფანიას „მაიამი ჰიტისთვის" ტორონტოული მატჩი ამ სეზონში 82-ე, ესე იგი, უკანასკნელი იყო. პატ რაილის შეგირდებმა იმარჯვეს, თუმც თავად პატ მასწავლებელს სიხარულის საბაბი ნაღდად არ ჰქონდა, ჯერ იმიტომ, რომ მისმა გუნდმა სეზონი მხოლოდ 25 გამარჯვებით დაასრულა, რაც კლუბისთვის უარესი შედეგია ბოლო თორმეტ წელიწადში. მეორე მიზეზს კი ახლავე აგიხსნით.

პატ რაილის სურდა, მის გუნდს სეზონი „ტორონტოზე" უარესი შედეგით დაესრულებინა, რითაც დრაფტში უკეთესი ახალბედის აყვანის მეტი შანსი ექნებოდა. რაილიმ ყველაფერი გააკეთა წასაგებად, ბედის ირონიით კი მისმა გუნდმა, რომელსაც მთელი სეზონი გამარჯვებე ... შიოდა, მაინც მოიგო.

გაჭირვება რას არ გააკეთებინებს კაცს. რამდენიმე წლის წინ ვინ იფიქრებდა, პატ რაილი წაგებების მოსაპოვებლად ამუშავებს თავის იდეებით გატენილ თავსო. არადა, ეს მწარე რეალობაა. რაილი ცდილობდა, ხალხს ეს არ შეემჩნია, მაგრამ ჟურნალისტებს რას გამოაპარებ, ამ მატჩის მიმომხილველებმა იოლად შენიშნეს, რომ „ჰიტის" მთავარმა მეფარემ მხოლოდ 7 წუთი ითამაშა, ხოლო ედი ჯონსის არყოფნაში გუნდის ლიდერად ქცეული კერონ ბატლერი მეოთხე მეოთხედში საერთოდ არ გამოჩენილა.

რაილის „რეპრესიები" „მაიამის" ქართველ ცენტრ ვოვა სტეფანიასაც შეეხო. მწვრთნელი მთელი თამაშის განმავლობაში გაურბოდა მოედანზე მის შეშვებას, მაგრამ ბოლო მეოთხედის წინ მაინც აიყვანა სკამიდან. ვოვას, ცხადია, სურდა, სეზონის ბოლო თამაში კარგად ჩაეტარებინა, ჰოდა, მოინდომა და მეოთხე 12-წუთეულის საწყის სამ წუთში ზედიზედ 8 ქულა(!) მოიხვეჭა. რა შეიტყო, ტორონტოელები ამის გამჩერებლები არ არიანო, რაილიმ სკამზე დააბრუნა ქართველი. სტეფანიამ ამას წინათ „სარბიელთან" ინტერვიუში დაიჩივლა, რაილი საკმარისი ხნით არ მათამაშებს, მეტს ვიმსახურებო. ეს სიტყვები შესაძლოა ვოვას მოჭარბებული ამბიციების გამოვლინებად ჩაგვეთვალა, მაგრამ აგერ, ეს თამაში ქართველის სიტყვების დასტურად მოგვიტანია.

სამაგიეროდ, რაილიმ ღრმა სათადარიგოებს — კენ ჯონსონსა და შონ ლემპლის შესაბამისად 33 და 27 წუთი უბოძა. ბედი არ უნდა? „მაიამიმ" ამ ხალხის მეოხებითაც მოუგო ტორონტოს ყაბეჩავებულ „დინოზავრებს".

ტორონტოელები კი მაგრად შერცხვნენ. მატჩის დასასრულს მათი ბოსი გლენ გრანვოლდი ხალხს მოწყალედ დაჰპირდა, ყველაფერს გამოვასწორებთ და ასეთი ცუდი შედეგით არასდროს დავასრულებთ სეზონსო. ის ალბათ თვალის დაუხამხამებლად გაუშვებს ლეგენდარულ მწვრთნელ ლენი ვილკენსს, რომელსაც ნბა-ს ისტორიაში თავისი გუნდებისთვის ყველაზე მეტი თამაში მოუგებინებია და ამ სეზონის შემდეგ ასევე ყველაზე მეტი მარცხიც მოუგროვდება. ვილკენსი, ცხადია, თავს იმართლებს, ტრავმებმა შეგვიკლეს, ვინს კარტერი, ანტონიო დევისი და სხვა რჩეული ბიჭები დამტვრეულები მყავდაო, მაგრამ მას ალბათ არ მოუსმენენ. განტევების ვაცის პოვნა ხომ ყველა გაფუჭებულ საქმეში აუცილებელია.

თუმცა არა, ყველგან არაა აუცილებელი. მაგალითად, „დენვერ ნაგიტსმა" თამაშების ოთხი მეხუთედი წააგო, მაგრამ დენვერში არ თვლიან, რომ საქმე გაფუჭდა და მწვრთნელ ჯეფ ბზდელიკსაც ჯერჯერობით არაფერი ემუქრება. „დენვერს" ჯერ არ დაუმთავრებია სეზონი, „ლეიკერსთან" შეხვედრა მისთვის 81-ე იყო. ნიკა ცქიტიშვილის გუნდმა 64-ედ წააგო. თავად ცქიტიშვილი, რომელსაც, ერთხელაც ვიქვათ და, ბზდელიკი სწყალობს, „ლეიკერსთან" ღირსეულად გამოიყურებოდა და მწვრთნელმა ის 36 წუთით გააჩერა მოედანზე. ცქიტომაც ივაჟკაცა, განსაკუთრებით მეტოქის ნახევარზე, სადაც 11 ქულა გააკეთა და 5-ჯერაც თანაგუნდელებს ჩააგდებინა.

15 აპრილს რეგულარული სეზონი „მაიამის" გარდა კიდევ ორმა გუნდმა — „ნიუ იორკმა" და „ჩიკაგომ" დაასრულა. „ნიუ იორკი" ზედიზედ მეორედ ასცდა პლეი ოფს, რაც ქვეყნის ყველაზე დიდი ქალაქის საკალათბურთო ლიანგს, ბარემ, ნაღდად არ ახარებს, მაგრამ კლუბის მამებმა ეს სეზონი რატომღაც მაინც აქტივში ჩაუთვალეს მწვრთნელ დონ ჩეინის და გუშინწინ მრავალწლიანი კონტრაქტიც უბოძეს.

„ჩიკაგოში" კი სულ სხვაგვარადაა საქმე. „ხარებმა" შარშან მწვრთნელი გამოიცვალეს (ბილ კარტრაიტი მოვიდა ტიმ ფლოიდის ადგილზე), ხოლო სულ რამდენიმე დღის წინ წასული ჯერი კრაუზეს ნაცვლად ახალი გენერალური მენეჯერი გამოუჩნდათ — ჯონ პაქსონი, ოდესღაც „ბულზის" მოთამაშე. პაქსონს იდეალური დებიუტი ჰქონდა, სეზონის უკანასკნელ თამაშში „ჩიკაგომ" ლიდერი „ფილადელფია სიქსერზი" დასცა.

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე კი ერთი დღე და 13 თამაშიდა რჩება, რომლებიც ამ დილით კი გაიმართა, მაგრამ მათ შედეგს ვერაფრით მოგახსენებთ, რაკი იმ დროს ეს გაზეთი უკვე დახლზე იდება.

**კოტე ყორშია**



AP ტორონტოდან

ტორონტოელმა ჯელანი მაკკოიმ „მაიამისთან" ძალიან მოიწადინა, სულ ტყუილად

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დეტროიტი | 50 | 31 | 61,7 |
| ნიუ ჯერსი | 49 | 32 | 60,5 |
| ფილადელფია | 47 | 34 | 58,0 |
| ინდიანა | 46 | 34 | 57,5 |
| ნიუ ორლეანი | 46 | 35 | 56,8 |
| ბოსტონი | 43 | 38 | 53,1 |
| ორლანდო | 42 | 39 | 51,9 |
| მილუოკი | 41 | 40 | 50,6 |
| ვაშინგტონი | 37 | 44 | 45,7 |
| ნიუ იორკი | 37 | 45 | 45,1 |
| ატლანტა | 35 | 46 | 43,2 |
| ჩიკაგო | 30 | 52 | 36,6 |
| მაიამი | 25 | 57 | 30,5 |
| ტორონტო | 24 | 57 | 29,6 |
| კლივლენდი | 16 | 65 | 19,8 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 60 | 21 | 74,1 |
| საკრამენტო | 58 | 23 | 71,6 |
| დალასი | 59 | 22 | 72,8 |
| მინესოტა | 50 | 31 | 61,7 |
| პორტლენდი | 50 | 31 | 61,7 |
| ლეიკერსი | 49 | 32 | 60,5 |
| იუტა | 47 | 34 | 58,0 |
| ფინიქსი | 44 | 37 | 54,3 |
| ჰიუსტონი | 42 | 39 | 51,9 |
| სიეტლი | 39 | 42 | 48,1 |
| გოლდენ სტეიტი | 38 | 43 | 46,9 |
| მემფისი | 28 | 53 | 34,6 |
| კლიპერსი | 26 | 55 | 32,1 |
| დენვერი | 17 | 64 | 21,0 |

*შრიფტით გამორჩეული გუნდები გავიდნენ პლეი ოფში*

# ფრენბურთშოუ

## ქართველები სიმღერ-სიმღერით ითამაშებენ



ლევან ახვლედიანი

**ხვალ** სპორტის სასახლეში საქართველოს ვაჟ ფრენბურთელთა ეროვნული ნაკრები თავის პირველ მატჩს გამართავს. ჩვენები ამხანაგურ შეხვედრაში სომხეთის ნაკრებს უმასპინძლებენ.

საქართველოს ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრები ორი წელია, რაც მკვდრეთით აღდგა. 9 წლის წინ ჩვენი ფრენბურთის ფედერაცია 16 ათასი შვეიცარიული ფრანკით და დისკვალიფიკაციით დაისაჯა იმის გამო, რომ 1992 წელს ხორვატიაში გამართულ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გუნდი ვერ მიავლინა. ვალის დაფარვამდე ქართულ კლუბებსა და რაგინდარა ასაკის ნაკრებებს საერთაშორისო ტურნირებზე თამაში აკრძალული ჰქონდათ.

შარშანწინ ფედერაციაში ახალი ხელმძღვანელობა მივიდა, რომელმაც ვალი დაფარა და ჩვენებს დისკვალიფიკაცია მოეხსნათ. ამის შემდეგ საქართველოს გოგონათა და ვაჟთა ახალგაზრდული გუნდები აქა-იქ გამოჩნდებიან ხოლმე საერთაშორისო შეჯიბრზე. მართალია, ყველგან ხელი მოეცარათ, მაგრამ ჩვენში რომ ფრენბურთი არ ჩაკვდა, ესეც დიდი საქმეა.

რაც შეეხება ხვალინდელ მატჩს, ის შოუსთან ერთად გაიმართება. თამაშის დაწყებამდე და დამთავრებისთანავე გაიმართება კონცერტი ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით. „ასე იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ ახალგაზრდები და მოზარდები კონცერტით მაინც დავაინტერესოთ და ვანახოთ, რა არის ფრენბურთი" — გვითხრა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა.

ჩვენების მეტოქე, სომხეთის ნაკრები, ევროფრენბურთში ვერ ქუხს, თუმც ხელწამოსაკრავი გუნდიც არ ეთქმის. „სომხები ხშირად მონაწილეობენ საერთაშორისო ტურნირებში, ზოგჯერ აგებენ, ზოგჯერ იგებენ. შეხვედრა ამხანაგურია და ამ მომენტში საქართველოში ფრენბურთის პოპულარიზაციას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მატჩის შედეგს" — ამბობს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ირაკლი ჩაჩუა.

მატჩზე და შესაბამისად კონცერტზე დასწრება უფასოა. შეხვედრა ხვალ ოთხ საათზე დაიწყება.

**ბაჩო სვანიძე**

აფროსნობა

# ნავი არის, მესაჭეც

## შკიპერი მეზღვაურის ძიებაშია

*აფროსან გურამ ბიგანიშვილს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა გადაუწყვეტია და თუ 53 წლის აფროსანი ლიცენზიას მოიპოვებს, იგი საქართველოს ოლიმპიურ გუნდში ყველაზე ასაკოვანი სპორტსმენი იქნება*

ATHENS 2004

გურამ ბიგანიშვილს დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება აქვს. 1973 წლიდან მოყოლებული „ვარსკვლავის" კლასში მას მრავალჯერ უასპარეზია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, მსოფლიოს თასის გათამაშებაში, ოლიმპიურ თამაშებზე კი ორჯერ გამოვიდა. აქედან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია 1984 წლის ევროპის ჩემპიონატში, როცა ვლადიმერ გრუზდევთან ერთად ოქროს მედალი მოიპოვა, მანამდე კი მასთანვე 1982 წელს ასეთსავე წარმატებას მიაღწია მსოფლიოს ჩემპიონატში. მსოფლიოს თასის გათამაშებაში, კი მისი საუკეთესო მაჩვენებელი 1995 წელს დაკავებული მერვე ადგილია. რაც შეეხება ოლიმპიურ გამოცდილებას, ბიგანიშვილი ბარსელონაში მეცამეტე, ატლანტაში კი მეჩვიდმეტე იყო. ამის გარდა, მან ორჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, ატლანტის ოლიმპიური თამაშების მერე კი თავისი „ვარსკვლავის" აფრა დაუშვა, დაკეცა და სკივრში შეინახა. ისე, დროდადრო თუ ამოიღებდა და თავისთვის ცურავდა, ახლა კი...





გურამ ბიგანიშვილი ათენში გაცურვას გეგმავს

ახლა მასთან ინტერვიუს გთავაზობთ:

**— როდის გაგიჩნდათ ოლიმპიურ თამაშებში კიდევ ერთხელ გამოსვლის სურვილი?**

— შარშან შემოდგომაზე გულმა არ მომითმინა და იტალიაში საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოვედი. თვრამეტი ქვეყნის აფროსნები ასპარეზობდნენ. რბოლების პირველ დღეებში ძლიერი ქარი ქროდა. ამის მიუხედავად, ჩვენი ეკიპაჟი პირველ ოთხ რბოლაში პირველი იყო. მერე უვარჯიშებულობამ თავისი გაიტანა და საბოლოოდ მეათე ადგილზე გავედით.

მოუმზადებლობის კვალობაზე ეს წარმატება იყო, რამაც გამამხნევა, სტიმული მომცა და ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის სალერღელი ამიშალა.

**— კი მაგრამ, ლერი ხაბელოვმა გვითხრა, გურამ ბიგანიშვილი მე შევაგულიანე — თუ საათენოდ მოემზადები, შენთან ერთად მეც ვივარჯიშებ და მებაგირედ დაგიდგებიო.**

— ასეც იყო. იტალიაში თავის გამოცდამ და ლერის სიტყვებმა დიდი სტიმული მომცა. ისე, მართლაც საინტერესო იქნება აფროსანთან ერთ ნავში მჯდომი მოჭიდავის, თანაც მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის გამოსვლა.

**— მაინც, თქვენი ხნის კაცს რამ გაფიქრებინათ ოლიმპიურ თამაშებში კიდევ ერთხელ გამოსვლა? მით უმეტეს, აღარც ლერი ხაბელოვია სპორტული ასაკის.**

— აფროსნობაში კაცს წლები სულაც არ ამძიმებს, ასაკი მით უმეტეს, არ არის პრობლემა მესაჭისთვის. ასაკთან ერთად გამოცდილებაც მატულობს. ამიტომაც აფროსნობაში ჩემზე უფროსებიც გამოდიან. ამ სახეობაში წარმატებას მესაჭის ოსტატობა, გამოცდილება და მებაგირის ჯანი და ენერგია განაპირობებს, ლერი ხაბელოვს კი არც ერთ აკლია და არც მეორე. ლომივით კაცია.

**— იტალიაში ვისთან ერთად იასპარეზეთ?**

— გია გრიგოლიასთან ერთად. ესეც ფიზიკურად ძალზე ძლიერია.

**— ეგეც ახალბედა აფროსანია?**

— 39 წლის კაცია. წინათ აფროსნობდა და „ფინის" კლასში გამოდიოდა. „ფინი", მოგეხსენებათ, პატარა, ერთკაციანი ნავია, „ვარსკვლავის" კლასში კი პირველად ჩაჯდა.

**— ახლა კი მთლად დავიბენით. მაინც, ვისთან ერთად აპირებთ ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლას, ხაბელოვთან, გრიგოლიასთან თუ ვლადიმერ გრუზდევთან ერთად, ვისთანაც წლების განმავლობაში მეწყვილეები იყავით?**

— ეს ბოლოს გადაწყდება. მებაგირეს ორი თვის ინტენსიური ვარჯიშიც ეყოფა.

**— მაგრამ ოლიმპიურ თამაშებზე გამოსასვლელად ხომ ლიცენზიის მოპოვებაა საჭირო. თქვენს შანსებს როგორ აფასებთ?**

— ვფიქრობ, სალიცენზიო ტურნირებში უმეტესად ასეა, საჭიროა, რვა საუკეთესოს შორის მოხვდე, რაც შეუძლებელი არ მეჩვენება, ყველაფერი კი სექტემბრის ბოლოს გაირკვევა, როცა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები დასრულდება.

**— და ნავი?**

— ნავის საკითხი მოხსნილია. იტალიელმა მეგობრებმა ეს პრობლემა ოლიმპიური თამაშების დასრულებამდე გადამიჭრეს, რაც ჩემთვის ასევე დიდი სტიმული გამოდგა.

**ავთანდილ გურასაშვილი**



NHL სტენლის თასი. პირველი წრე

ოთხ მოგებამდე

## აღმოსავლეთი

### ნიუ ჯერსი 3:1 ბოსტონი

# ადამიანი ვარ

## ეშმაკთა მცველმა ვეღარ იეშმაკა

**ბოსტონი 5:1 ნიუ ჯერსი** *1:0 2:0 2:1*

**1:0 ტორნტონი (20), 2:0 მაკგილისი (23), 3:0 მაკგილისი (38), 3:1 ნიდერმაიერი (42), 4:1 ლაპოინტი (42), 5:1 მაკინისი (44)**

ბოსტონის ქომაგებმა ნიუ ჯერსის მეკარეს, მარტინ ბროდოს უნდა უთხრან მადლობა, მათი გუნდი ჯერ კიდევ რომ შერჩენია პლეიოფს. „ეშმაკთა მეკარე" წინა სამ მატჩში კლდესავით იდგა და ამან ბევრად განაპირობა ნიუ ჯერსის ასეთი დიდი უპირატესობა სერიაში. თუმც ზოგჯერ, ეტყობა, მარტინ ბროდოც დგება მარცხენა ფეხზე. ვერ ვიტყვით, მატჩი ჩაავლავაო, მაგრამ საწაულები კი ვეღარ ჩაიდინა. ისე მატჩის ბედი მანამდეც გადაწყვეტილი იყო. მარტი მაკინისის შაიბის შემდეგ ბროდომ სათადარიგოთა სკამს მიაშურა. 13 მარტის შემდეგ პირველად მოხდა, რომ მატჩი ბოლომდე არ ჩაატარა. მაშინაც „ეშმაკთა" მეტოქე სწორედ ბოსტონი გახლდათ.

„ბოსტონელებმა იციან, რომ მეც ადამიანი ვარ... კიდევ კარგი, რომ აქამდე ისე მარჯვედ არ ურტყამდნენ, როგორც დღეს" — თავს იმართლებდა მარტინ ბროდო მატჩის შემდეგ.



მარტინ ბროდომ სასწაულები ვეღარ ჩაიდინა და თავჩახრილი გავიდა ყინულიდან

### ტამპა 1:2 ვაშინგტონი

**ვაშინგტონი 3:4 ტამპა** *1:1 1:1 1:1 0:1*

**0:1 ლეკავალიე (4), 1:1 ზუბრუსი (15), 1:2 პროსპალი (29), 2:2 ზუბრუსი (31), 2:3 სან ლუისი (52), 3:3 უიტი (58), 3:4 ლეკავალიე (63)**

ასეთი რამ იშვიათად ხდება ნჰლ-ის თამაშებზე. მატჩი რომ დასრულდა, ვაშინგტონის ქომაგებმა ყინულზე ბოთლები და სხვა ნივთები ისროლეს. მსაჯებისადმი უკმაყოფილება მათ ასე გამოთქვეს. ოვერტაიმის პირველივე წუთებზე არბიტრებმა წესების დარღვევის გამო ერთბაშად ორი ვაშინგტონელი — იაროშირ იაგრი და კენ კლი გააძევეს. ცხადია, „ელვებმა" ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს. მათმა ლიდერმა ვენსან ლეკავალიემ დამატებაზე იხეირა და თავის გუნდს ვაშინგტონში ბოლო 5 წლის განმავლობაში პირველად მოაგებინა. „ჩვენ თავი დავაღწიეთ საპლეიოფო წნეხს. ახლა რაც არ უნდა მოხდეს, უკმაყოფილონი აღარ დავრჩებით. უბრალოდ, ვაგრძელებთ თამაშს" — ასე ახსნა გუნდის წარმატება ტამპელთა მთავარმა მწვრთნელმა ჯონ ტორტორელამ.

## დასავლეთი

### დალასი 2:2 ედმონტონი

**ედმონტონი 1:3 დალასი** *0:1 0:0 1:2*

**0:1 ზუბოვი (2), 1:1 პორკოფი (43), 1:2 ბარნსი (46), 1:3 კაპანენი (47)**

„კიდევ კარგი, რომ ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა, თორემ ვიფიქრე, ეტყობა ჰოკეის ღმერთი მცდის და წინა მატჩი მეორდება-მეთქი" — დალასის მეკარე მარტი ტურკომ მხოლოდ მატჩის შემდეგ ამოისუნთქა შვებით. აბა, სხვა რას იფიქრებდა მაშინ, როცა მესამე პერიოდის დასაწყისში, ისევ 43-ე წუთზე, ედმონტონმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება და მაგრად მიაწვა დალასელთა დაცვას. თუმც ამჯერად მცველებმა და განსაკუთრებით მეკარემ უშეცდომოდ იმოქმედეს და ისტორია ისტორიაშივე დატოვეს. ამაში მასპინძლებიც დაეხმარნენ — ეტონ მოროს გაძევება ჩინებულად გამოიყენეს სტუმრებმა. სტიუ ბარნსის ცბიერად დარტყმული ედმონტონის მეკარე ტომი სალოსთვის სიურპრიზი გამოდგა, შემდეგ კი 33 წამში კაპანენმა ყველა საკითხი მოაგვარა.

**სამველ ლარიბიანი**




დალასელები ენდმონტონთან სერიაში ანგარიშის გათანაბრებას ხარობენ


REUTERS ნიუ იორკიდან

## ის დროშა მაიკლისთვის

ეს მაიკლ ჯორდანის ბოლო საშინაო თამაშია „ვაშინგტონ ვიზარდსის“ შემადგენლობაში. მერე ის კიდევ ერთხელ მიდის. თამაშზე კი ამერიკის თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი მისულა და მისი უპაეროსოვნებისთვის ამერიკის ის დროშა უჩუქებია, სისხლიან 11 სექტემბერს რომ ფრიალებდა პენტაგონის თავზე.


REUTERS ვაშინგტონიდან

## ნამდვილები და მსახიობები

ქალთა ფეხბურთი ამერიკის ერთ-ერთი სიყვარულია. ნიუ იორკისა და ვაშინგტონის გუნდების ვარსკვლავებს, ტიფანი მილბერტს (მარცხნივ) და განთქმულ მია ჰემს (მარჯვნივ) შუა ჩაუყენებიათ ინგლისელი მსახიობები, პარმინდერ ნაგრა და კეილა ნაითლი. ეს გოგონები ერთად თამაშობენ ფილმში „გააკეთე ბექჰემივით“, რომელიც მობურთალ ქალთა ცხოვრებაზეა. ფილმი ამ კვირას გამოდის ვაშინგტონში.



REUTERS ლონდონიდან

## სიახლეები

აი, რა ნაბიჯი გადადგა სერ ფრენკ უილიამსმა, „უილიამსის“ საფორმულე გუნდის ავან-ჩავანმა. მიუხედავად იმისა, რომ სერ ფრენკი სავარძელსაა მიჯაჭვული, მაინც მკვეთრი ნაბიჯები იცის. მან პირველმა გადააბიჯა მეფორმულეთა ტრადიციას იმის თაობაზე, რომ გუნდებს თამბაქოს ფირმები სპონსორობენ. ამიერიდან უილიამსის ბოლიდზე „გლიქსოსმისკლაინის“ ცნობილი ტოტის „ნიქვითინის“ (თავი დაანებე თამბაქოსო) ლოგო იქნება. „ნიქვითინი“ ცნობილია იმით, რომ თამბაქოზე თავის დასანებებელ პროდუქციას უშვებს. უნიკოტინო „უილიამსი“ პირველად იტალიის დიდ პრიზზე გამოჩნდება. ბერლინში კი „შელისაგან“ „ფერარისთვის“ მითავაზებული ახალ სამანქანო საწვავს ყნოსავს მიხაელ შუმახერი.


REUTERS ბერლინიდან


REUTERS მონაკოდან

## ლოჟაში

მონაკოში ჩოგბურთია გახურებული, მონტე კარლოს ღია პირველობა. მნიშვნელოვანთა ლოჟაში, ცხადია, იქაური უფლისწული, ალბერი ხალისობს, მას კი გვერდს გაფრანგებული რუსი, მარინა ანისინა უმშვენებს. მარინა ფიგურული სრიალის ოლიმპიური ჩემპიონია და გასულ კვირაში საფრანგეთის საპატიო ლეგიონის წევრიც შეიქნა.


REUTERS ოკვილიდან

## მწვანე ჟაკეტი

კანადელი მაიკლ ვეირი ლენ მატიასის დიდი საგოლფო ტურნირის გამარჯვებულის მწვანე ჟაკეტს ირგებს. შეჯიბრი კანადაში, ოგასტას ეროვნულ გოლფ-კლუბში იმართება და გამარჯვებულს წინა წლის გამარჯვებული აცმევს ხოლმე ჟაკეტს. წინა წლის გამარჯვებული კი ტაიგერ ვუდსია. ცაცია ვეირისთვის ეს პირველი დიდი შეჯიბრებაა, რომელიც მოიგო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge